


ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. ჟურნალი

**№ 2** 18 მაისი 1908 წ. ფასი 10 კ.

**შინაარსი:** დღევანდელი ვითარება, ო—სა.—მორიგი საკითხები, დ—სა.—პოეზია (ლექსი ნადსონისა), ლ—სა.—რობორ გააჩინა ღმერთმა ადამიანი, (შემდეგი) ივ. გომართელისა.—სხვა-და-სხვა ამბები (ჩვენსა და რუსეთში).—სახელმწიფო დუმა.—არ ვიცი, ბედო, როგორ გიმღერო (ლექსი), ვ. ტუქსიშვილისა.—ქეთო სურათი (ფაბრიკის ცხოვრებიდან). პ—ე ხიდისთაველისა.—რუსეთის ცხოვრება.——მუშათა შორის.—უცხოეთი.—ბიბლიოგრაფია.

## დღევანდელი ვითარება.

### II.

უფლებრივ წყობილების დამახასიათებელი, ნიშნობლივი თვისებაა ის გარემოება, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა სწარმოებს თანახმათ წინდაწინვე და მტკიცეთ განსაზღვრულ, მასთან ყველასათვის თანაბრათ სავალდებულო ნორმებისა ანუ კანონებისა, რაიც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს არსებულ კონსტიტუციით. კონსტიტუციის შესაბამი მართვა-გამგეობა*) — აი რა ახასიათებს თანამედროვე, უფლებრივ სახელმწიფოს. ამ მხრივ —როგორც უკვე დავინახეთ წინა წერილიდან--სრულიად სხვა გვარათ არის დაყენებული საქმე რუსეთში; აქ იმპერიის მთელ სივრცეზე თუ არა—ტერიტორიის საერთო რაოდენობის 70%-ზე მაინც — სრულიად უარყოფილია უფლებრივი ნორმები; აქ სრულ ძალაშია დარჩენილი ძველი რეჟიმის პრინციპები. როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა წერილში, ამ ვითარებასა ჰქმნიან არა გენერალ-გუბერნატორები და სხვა ადგილობრივი მთავრობანი, არამედ ამათი მომავლინებელი ცენტრები. სახელმწიფოს აღმასრულებელ და სამოსამართლო ორგანოებისაგან კონსტიტუციის აჩრდილიც კი დევნილი არის.

ეხლა განვიხილოთ საკანონმდებლო ორგანო. რას წარმოადგენს „ექსტერიტორიალური სამფლობელო“, ტავრიდის სასახლე, ეს—მაკლაკოვის აზრით—უფლებისა და კანონიერების ოაზისი თვითნებობისა და უკანონობის უდაბნოში აღმართული, **რას წარმოადგენს მესამე სახელმწიფო დუმა?**

აქ, მართლაც, მუდამ უფლებასა და კანონიერებაზეა თათბირი, მაგრამ სახელმწიფოში კი სრულიად არაფერი არ იცვლება, მიუხედავათ იმისა, რომ უკვე ნახევარ წელიწადზე მეტია, რაც სახ. დუმა არსებობს. რათა ხდება ასე? იქნებ იმიტომ, რომ დუმა არ არის საჭირო ძალა-უფლებით აღჭურვილი? ამაზე შემდეგი უნდა შევნიშნოთ: სახ. დუმის ძალა-უფლება, მართალია, ძალიან მცირეა, უფრო მცირე, ვინემ რომელიმე პარლამენტისა მთელ ქვეყანაზე, მაგრამ სახ. დუმა მაინც უკვე დიდ-მნიშვნელოვან როლის მოთამაშეა სახელმწიფოში, ვინაიდგან ის აღჭურვილია საკანონმდებლო უფლებით. ყოველ იმ ქვეყანაში, სადაც კი არსებობს წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა, ფაქტიურათ უპირატეს როლს უეჭველათ თამაშობს საკანონმდებლო კრება **საბოლოო ანგარიშით**, ეს უკანასკნელი სწყვეტს ყველა სახელმწიფო

*) Uerxassunqsmässiqes verfaltunqrcht.

საქმეებს, მიმართულებას აძლევს ქვეყნის მთელ მართვა-გამგეობას, და ეს აგრეა მაშინაც კი, როცა მთავრობა, კანონით, პასუხის-მგებელი არ არის პარლამენტის წინაშე. შეიძლება მკითხველი განცვიფრებული დარჩეს, მაგრამ მაინც უნდა ვაღვიაროთ, რომ ის, რასაც აქ ვამბობთ პარლამენტარულ ქვეყანაზე, იგივე ითქმის დღევანდელ რუსეთზედაც, რამოდენადმე მაინც, ე. ი. იმ ფარგლებში მაინც, რასაცა სწვდება სახ. დუმის კომპეტენცია (უფლებრივი საზღვრები). თვით რუსეთის მთავრობა რაც, უნდა დაუძინებელი მტერი იყოს კოსტიტუციის, ვიდრე არსებობს საკანონმდებლო კრება, ვერ იმოქმედებს ამ უკანასკნელის დადგენილებათა წინააღმდეგ. მთავრობა რომ თავისთვის არსებობდეს, დუმა კიდევ თავისთვის, ანა მათი მოქმედება რომ ერთი მეორეს არ უდგებოდეს და ეწინააღმდეგებოდეს, ეს-თეორეტიულადაც და პრაქტიკულადაც—ისეთივე აბსურდია (სისულელეა), როგორც აბსურდი იქნება იმის წარმოდგენა მაგ. რომ კოკოვცევმა გუდა აიკიდოს და ევროპის რომელსამე სახელმწიფოს მიადგეს ასეთ სიტყვებით: „გვასესხეთ ამდენი და ამდენი მილიონი, მაგრამ წინდაწინვე გიცხადებთ, რომ გროშსაც აღარ ჩაგასესხებთო!“ მთავრობამ რომ შეიძლოს საკანონმდებლო კრების დადგენილებათა წინააღმდეგ მოქმედება, ამისათვის საჭირო იქნება—მან უმალ დაშალოს ეს კრება და თუ თავის მხარეზე გრძნობს ფაქტიურ ძალას—ან სულ გააუქმოს სახალხო წარმომადგენლობა და ან შესცვალოს საარჩევნო კანონი თავის სურვილისამებრ. აი სწორეთ ამ გარემოებამ იმსხვერპლა პირველი და მეორე სახ. დუმა. მაგრამ მესამე დუმა არსებობს და სახელმწიფო მართვა-გამგეობაში კი არაფერი იცვლება. რით აიხსნება ეს უცნაური მოვლენა? გავშინჯოთ თვითონ დუმის მოქმედება.

პირველი ხანები თვისი არსებობისა მესამე დუმამ აღნიშნა იმით, რომ საპასუხო ადრესში მან უარჰყო ტერმინი „თვითმპყრობელობა“, რითაც მთელ იმპერიაში დიდი სენსაცია გამოიწვია და „კონსტიტუციონური ილიუზიებიც“ კი გააღვიძა. მაგრამ როცა სტოლიპინმა თავის დეკლარაციაში მიუთითა „გათავხედებულ“ დუმას, რომ სახელმწიფოს „ისტორიული საფუძველი“, ე. ი. თვითმპყრობელობის ძირითადი პრინციპი წმინდაა და ხელშეუხლებელიო, დუმა ერთიანათ დაიბნა და მან ვერ მოახერხა დეკლარაციისათვის რაიმე პასუხი გაეცა, ან „ჰო“ ეთქვა ან „არა“; თითქოს სახელმწიფოს ძირთად საკითხებზე მას არავითარი აზრი არ მოეპოვებოდა. შემდეგში, დუმა გულდასმით ცდილობს მხარი აუქციოს ყველა ასეთ საკითხებს; ის ბეჯითად ერიდება ქვეყნის საჭირბოროტო საქმეების შეხებას და სამაგიეროთ გულდასმით თათბირობს იმაზე, თუ რა წესით ირჩეოდეს ხოლმე პეტერბურგში ამაღლების ეკლესიის მნათე, ანუ როგორ ისწავლებოდეს ამა თუ იმ სკოლაში ცხენების დაჭედვა ანდა კავკასიაში რა გადასახადი დაადვან კამეჩებზე და სხ. და სხ. დუმა ერთგულათ უკან მისდევს მთავრობის პოლიტიკას, იგი (ჩვენ ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, უმრავლესობაზე, რომელიც ყველა საკითხებს სწყვეტავს დუმაში) სავსებით ემორჩილება სტოლიპინის რეჟისორობას. და ეს იმდენათ ნათელია ყველასათვის, რომ თვით კადეტებიც დუმის უმრავლესობის ტაქტიკას აღნიშნავენ სიტყვებით „чего изволите“! (რას ინებებთ!). დუმა აკმაყოფილებს მთავრობის ყველა მოთხოვნებს, მაგრამ ამავე დროს იგი როდი ივიწყებს კონსტიტუციას. ასე მაგ. იგი სავსებით ამტკიცებს სახელმწიფოს ბიუჯეტს, მარა აი ს. მიმოსვლო საშუალებათა ბიუჯეტის განხილვის დროს მას შეაქვს „სმეტაში“ ერთი მანეთის შესწორება, და მით აღნიშნავს, რომ სახ. დუმა ძალიან კარგათ არის მიხვედრილი და დიდათაც აფასებს თავის საბიუჯეტო უფლებებს. როცა ამას წინათ ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა დუმაში შესძახა: „მადლობა ღმერთს რუსეთში პარლამენტი არ არსებობსო“, და ამრიგათ მასხრათ აიგდო დუმა და უმნიშვნელო ქაღალდის ფარატინათ გამოაცხადა რუსეთში კონსტიტუცია, მთელ სახელმწიფო დუმაში უმალვე გაისმა დრტვინვა და აღშფოთება. მინისტრის საწინააღმდეგო სტვენას შეუერთდა თვით ცენტრი. მინისტრის განცხადება მოურიდებლათ დაჰგმო თვით დუმის თავმჯდომარემ ხომიაკოვმა. მაგრამ საკმაო იყო პრემიერ მინისტრს—სტოლიპინს თავის უკმაყოფილება გამოეთქვა დუმისა და მის თავმჯდომარის ასეთ ქცევაზე, რომ ბ. ხომიაკოვს უმალვე ბოდიში მოეხადნა: დავაშავეთ-გვაპატიეთო. ხოლო თვით დუმამ „შეცდომის“ გასასწორებლათ უმალვე წამოაყენა ფინლიანდიის შესახებ შეკითხვა, რათა ამ რიგათ საშუალება მისცემოდა „პატრიოტულ დემონსტრაციის“ მოსახდენათ.

იმ თავიდანვე დღევანდლამდე სახ. დუმა—ხანდასმით მაინც—აღიარებს თავის კონსტიტუციონურ მისწრაფებას, გამოსთქვამს შეურყეველ სურვილს, რუსეთში განმტკიცდეს წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობა, სახელმწიფო განახლდეს უფლებისა და კანონის საფუძველზე, მაგრამ იგი მუდამ მორჩილათ მისდევს მთავრობას, ადასტურებს მის მოქმედებას და ამ რიგათ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ამაგრებს ძველი რეჟიმის პრინციპების ბატონობას.

სახ. დუმის ამ მოქმედებას საუცხოვოთ ასურათებს უკანასკნელი „საპარლამენტო დიდი დღეები“, როცა განხილულ იქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი. დუმის ცენტრი (ოქტომბრისტები) არამც თუ ტაშს უკრავდენ კადეტების ორატორებს, არამედ თვითონაც ალაპარაკდენ ისეთი ოპოზიციონურ კილოთი, რომ კადეტებიდან ძნელათ-ღა ირჩეოდენ. ასე მაგ. დუმის თავმჯდომარის ამხანაგი ბარონ მეიენდორფი ცხარობდა: „მით უფრო სასტიკი უნდა იყოს ჩვენი განაჩენი სახ. მექანიზმის იმ ნაწილების წინააღმდეგ, რომელნიც დღევანდლამდე კიდევ ვერ მოვიშორეთ თავიდან და რომელნიც კვლავ განაგრძობენ თავის ბნელ საქმეს“. როცა მინისტრის ამხანაგი მაკაროვი ვეღარა ფარავს თავის უკმაყოფილებას და აცხადებს, რომ არ ელოდა თუ დუმა თავის თავს ნებას მისცემდა და კრიტიკულათ შეეხებოდა

მთავრობის საშინაო პოლიტიკას მაშინ, როცა ლაპარაკია მხოლოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტზეო, გრაფი უვაროვი (ოქტ.) ამაყათ აცხადებს, რომ დუმას არამც თუ უფლება აქვს ამისა, არამედ იგი კიდეც ვალდებულია ამისით, ე. ი. მთავრობის საშინაო პოლიტიკის კრიტიკულათ გარჩევისო). მთელი რიგი ოქტომბრისტების ცნობილ ორატორებისა—ბარონ მეიენდორფი, გრაფი უვაროვი, თ-დი გოლიცინი, შიდლოვსკი და სხ. —სასტიკ პროტესტს აცხადებენ გახანგრძლივებულ იქმნას სახელმწიფოს დღევანდელი მართვა-გამგეობა (ყოველგვარი განსაკუთრებული მდგომარეობანი, გენერალ-გუბერნატორების დიქტატურა) რადგან ეს სრულიად ეწინააღმდეგება კონსტიტუციონურ მმართველობას. მაგრამ თუ ეს ბატონები დილით ასეთ ოპოზიციონურ კილოზე ლაპარაკობენ, საღამოთი, ანუ უფრო ადრეც, უკვე მხარს იცვლიან და სულ სხვა კილოზე მღერიან. იგივე ბარონ მეიენდორფი ამბობს: „ახალ პრინციპების დამყარების მტრები არიან ის ძალები, რომელნიც ძველი წეს-რიგით ცდილობენ წესიერების დაცვას“ და ამას ბარონი ზედვე დასძენს: „17 ოქტომბრის კავშირი მხარს დაუჭერს მთავრობას ყოველ ენერგიულ ზომებში, რათა ადმინისტრაცია და პოლიცია განიწმიდოს ძველი წეს-რიგისა და ძველი ცოდვებისაგან“. ოქტომბრისტები არ დაჯერდენ იმასაც, რომ დღევანდელ მთავრობას მიანდეს ასეთი შეუსაბამო მისსია; მათ დაბოლოს თვით „ძველი წეს-რიგი“ ძველი ცოდვები „ჰარმონიულათ“ მოარიგეს ახალ პრინციპებთან. ბ. გოლოლობოვმა გვამცნო, რომ „სამხედრო მდგომარეობა შემოაქვს არა მარტო მთავრობას, იგი შემოაქვს თვითონ ცხოვრებას“ და მან სიტყვა დააბოლოვა ლოზუნგით: „გვეყო განმათავისუფლებელი მისწრაფებანი!“..

თათბირი მთავრობის საშინაო პოლიტიკაზე დასრულდა იმით, რომ დუმამ დააკმაყოფილა სამინისტროს ყველა მოთხოვნანი და თავს იდვა მხოლოთ გამოეთქვა ზოგიერთი სურვილები, როგორც მაგალ. შემცირებულ იქმნას რიცხვი შინაგან საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრთა, საქონელზე დადებულ გადასახადის აკრებიდან განთავისუფლდენ ზედამხედველი ბეითლები და სხ. ერთი სიტყვით, დუმამ დაიწყო იმით, რომ აშკარათ გაკიცხა მთავრობის საშინაო პოლიტიკა და გაათავა კი იმით, რომ მოიწონა და დაადასტურა იგივე პოლიტიკა. რით აიხსნება ასეთი დაუჯერებელი წინააღმდეგობა?

რადგან სახ. დუმაში ყველა საქმეები სწყდება ხმის უმეტესობით, ამიტომ ზემოთ დასმულ საკითხის გასაგებათ უნდა გავიგოთ ვინ შეადგენენ უმრავლესობას, უნდა კარგათ გავიცნოთ ვინა ბრძანდებიან

**სახ. დუმის მესვეურნი.**

დეპუტატები მესამე დუმაში პარტიულათ ასე განაწილდებიან დაახლოვებით: მემარჯვენენი (უკიდურესნი და უბრალო მემარჯვენენი, საერთოთ შავები) არიან 110; ოქტომბრისტი —140; უპარტიო პროგრესისტები (ეფრემოვისა და ლვოვის ჯგუფი)—35; კადეტები—90; კოლო—20; მუსულმანთა ფრაქცია—15; სოც.-დემოკრატები—16; ტრუდოვიკები—10. როგორც ხედავთ ყველაზე დიდ პარტიას დუმაში შეადგენენ ოქტომბრისტები; ამათვე ეკუთვნის ხელმძღვანელი როლი, სწორეთ ესენი აძლევენ მიმართულებას დუმის მთელ მოქმედებას და აქედან აწვებიან აგრეთვე სახელმწიფოს მთელ პოლიტიკას. ოქტომბრისტები კი წარმოადგენენ სხვილ კაპიტალისტებს და სხვილ მემამულეებს. უმეტესობა ეკუთვნის ამ უკანასკნელთ. და აკი ამათი გაბატონება დუმაში პირდაპირი მიზანიც იყო 3 ივნისის საარჩევნო კანონისა. მაშ საქმის გასაგებათ უნდა გავეცნოთ სწორეთ ამ სხვილ მემამულე, თავად-აზნაურობას.

ბევრსა ჰგონია ვითომ თავად-აზნაურობა და ბიუროკრატია ერთი და იგივე ხალხი იყოს, ვითომ იგინი ერთი მეორეს ჰფარავდენ, ერთ და იმავე მისწრაფება-იდეალებს ატარებდენ და საერთო მოქმედებას აწარმოებდენ. ამ შეხედულებას ასაზრდოებს უფრო ის გარემოება რომ სხვილი, ბობოლა ბიუროკრატები ხშირათ თავად-აზნაურთა წოდებას ეკუთვნიან და ან თუ „ვიგინდარა“ წრიდან არიან გამოსულნი მაინც ადგილ-მამულს, იძენენ და ბატონობას თუ გრაფობას იმტკიცებენ. ნამდვილათ კი ეს კატეგორიები ბიუროკრატია და თავად-აზნაურობა—ორი სრულიად სხვა და სხვა და ერთი მეორის მოწინააღმდეგე-უარმყოფელ სოციალური მოვლენებია. **ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა არამც თუ არ ნიშნავს თავად-აზნაურობის ინტერესთა წარმომადგენლობას და სამსახურს, პირიქით ის ამ უკანასკნელის სრულ პოლიტიკურ დამხობას მოასწავებს. ეკონომიურათაც**, ბიუროკრატიულ **თვითმპყრობელობის** (აბსოლიუტიზმის) **ისტორიული დანიშნულებაა სრული დარღვევა იმ ნატურალურ მეურნეობის, რომელზედაც დაყრდნობილია ძველი არისტოკრატია;** იმის ეკონომიური მიზანია ხელის შეწყობა და მზრუნველობა ახლათ გამოჩეკილ ვაჭრობა-მრეწველობისათვის. თვითმპყრობელობა ბებიაქალის კაპიტალიზმისა; იგივეა „მოსიყვარულე“ ძიძა იმ ახლათ გაჩენილ კლასისა, რომელიც თავის სრა-პალატებს აგებს ფეოდალთა კოშკების ნანგრევებზე.

მთავრობასა და „ბრწყინვალე წოდებას“ შორის ხიდი აშკარათ ჩატყდა ბატონყმობის გადავარდნის დროს. შემდეგში თანდათან უფრო ღრმავდებოდა მათ შორის გაჩენილი ხრამი. როდესაც ვიშნეგრადსკისა და ვიტტეს დროს რუსეთის ნიადაგზე გაცხარებულის ენერგიითა და სისწრაფით ინერგებოდა კაპიტალიზმი, მემამულე თავად-აზნაურობა ხედავდა, რომ ასევე სწრაფათ იმის ჯიბესა და კიდობანში იზრდებოდა ცარიელი ადგილები, მემამულენიც გულში იხვევდენ მთავრობისადმი მწვავე უკმაყოფილებას და მტრულ განწყობილებას; ესენი ხედავდენ, რომ მთავრობის ყველა ზომები კაპიტალიზმის საკეთილდღეოთ მიმართული—უკიდურეს მფარველობითი პოშლინები, ტარიფები, ათასგვარი პრემიები და შეღავათები—და მთელი ეკონომიურ-ფინანსიური პოლიტიკა არამც თუ არ აჩერებდა, პირიქით სულ უფ-

რო და უფრო წინ ეწეოდა სასოფლო მეურნეობის დაცემას; მემამულეთ უკვე იმედი ეკარგებათ მიწათ-მოქმედების კრიზისის მთელი სიმძიმე გადაიტანონ გატყავებულ და დამშეულ გლეხობის კისერზე, და აი მათ ეღვიძებათ „ბუნტოვჩიკური“ სული, ისინი ნატრობენ მთავრობასთან ანგარიშის გასწორებას, მათ ცბადებათ „безсмысленныя мечтанія“ (სულელური ოცნებანი). დიახ, შემთხვევითი როდია ის ფაქტი, რომ რუსეთის ლიბერალიზმის აკვანი გადირწა სწორეთ თავად-აზნაურთა „საბუდრებში,“ საერობო დაწესებულებებში და სხვა და სხვა სამეურნეო კომიტეტებში...

როდესაც 1905 წ. განმათავისუფლებელ მოძრაობაში ძლიერათ შემოიჭრა გლეხთა საკითხი და პროლეტარიატისა და ქალაქის დემოკრატიის მოძრაობა დაჩრდილა გლეხ-კაცობის აბობოქრებამ, დაჩრდილა იმდენათ, რომ ერთმა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიის ბელადთაგანმა (გაზ. „სხივში“) გამოაცხადა—გლეხობამ უნდა განახორციელოს რევოლიუციის მიზანიო.

აი ამ დროს თავად-აზნაურობას როდი ეძინა. ის უმალვე მიხვდა, რომ **აგრარული საკითხი უწინარეს ყოვლისა არის პოლიტიკური საკითხი**. თავად-აზნაურობამ იწყო კლასიურ ორგანიზაციებად დარაზმვა და თავის კლასიურ პოზიციების გამაგრება; ის გაორკეცებული ენერგიით ამოძრავდა სახელმწიფოს ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ და აკი მას ბედიცა სწყალობდა. სწორეთ ამ დროს ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა გამწარებული ეძებდა იმ საზოგადოებრივ კლასს, რომელზედაც მას შესძლებოდა დაყრდნობა. გლეხობამ მას უკვე საბოლოოთ იმედი გაუცრუვა, ბურჟუაზიაზე კიდევ ფიქრიც მეტი იყო; ეს ბავშობის არტახებში ველარ ისვენებდა; ბურჟუაზიამ მეტათ აშკარათ გადააბა თავისი ბედი განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. აქ გამოჩნდა „ბრწყინვალე წოდება“, უკვე საომრათ დარაზმული და აბა ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობას როგორღა მოაგონდებოდა, რომ „ბრწყინვალე წოდება“ რევოლიუციის ალაგმვასთან ერთათ ესწრაფოდა აგრეთვე თვითმპყრობელობის ალაგმვასაც. და აი, როცა ბურჟუაზია შესაბრალისათ გაჰკიოდა რევოლიუციის მიზნები უნდა განვახორციელოთ, მაგრამ ურევოლიუციოთო, მშვიდობიანის გზითო, ხოლო მშრომელი ხალხი კი დაყრდნობილი საკუთარ თავ-განწირულებაზე გადამწყვეტ იერიშის მიტანას აპირებდა თვითმპყრობელობის სიმაგრეზე; ამ უკანასკნელს თავად-აზნაურობამ შინა კარიდან წამოუარა და კრიტიკულ მომენტში ხალხს გადმოსძახა: „ტყვილა ირჯებით, ჩვენ უკვე აქა ვართო!“ სახელმწიფოს ჩარხის ტარი ხელში შერჩა მემამულე თავად-აზნაურობას. 3 ივნისის აქტი მხოლოთ იურიდიული გამოხატულება იყო ფაქტიურათ შეცვლილ ვითარებისა. „ბრწყინვალე წოდებამ“ მიაღწია დიდი ხნის ნატვრას, სათავეში მოექცა სახელმწიფო მართვა-გამგეობას და რა თქმა უნდა ის ადვილათ აღარ დასთმობს თავის გამარჯვებას. მაშ იგი ყოველივე ძალ-ღონით ეცდება სახ. დუმას საკანონმდებლო ფუნქციების განმტკიცებას, იგი ეცდება კონსტიტუციის გამაგრებას. ამას უკარნახებს მას ტვისივე კლასიური ინტერესები.

მაგრამ **პოლიტიკასა ჰქმნ ს არა მარტო კლასიური ინტერესები, არამედ აგრეთვე კლასიური იდეოლოგია**. ხოლო ამ უკანასკნელის წარმომშობია ის სოციალური მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ესა თუ ის კლასი.

თავად-აზნაურობას, მართალია, დიდი ხნიდანვე მაგრათ მოხვია თვისი მკლავები თანამედროვე კაპიტალისტურმა ეკონომიურმა ვითარებამ, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის ამ უკანასკნელის „ქვაბში“ სავსებით გამოხარშული; ის კიდევ მრავლათ ატარებს წოდებრივ ელემენტებს; ბატონ-ყმობის ნაშთები ჯერ კიდევ არ ჩამწვარა ბოლომდის. ამასთანავე, თუ ვიშნეგრადსკ-ვიტტეები მზრუნველობით უვლიდენ ახლათ გამოჩეკილ კაპიტალიზმსა და მის მტარებელ ნორჩ ბურჟუაზიას, ამ დროს არც თავად-აზნაურობა იყო ხოლმე სრულიად მომდურებული; პირიქით, მთავრობა მას უხვათ აფრქვევდა ათასგვარ წყალობას. გაიხსენეთ მაგ. 91 წლის საერობო დებულება, „ზემსკი ნაჩალნიკების“ ინსტიტუტი, სათავად-აზნაურო ბანკები, კასები და სხ. შეღავათები და პრივილეგიები. რაღა საკვირველია თუ „ბრწყინვალე წოდებას“, ცალი ფეხი აწმყოში ედგა, ცალი კიდევ წარსულში რჩებოდა. ასეთი ორჭოფი სოციალური მდგომარეობა, რასაკვირველია, უნერგავდა მას ორჭოფ პსიხოლოგიასაც. გარდა ამისა, რევოლიუციისაგან წამოყენებულ საკითხმა მამულების კონფისკაციის შესახებ ისეთი თავ-ზარი დასცა მემამულეებს, რომ ესენი მალე ვერ მოვიდოდენ გონს და ვერ შეიძლებდენ დინჯათ მოფიქრებულ მოქმედებას.

მეორე მხრივ, უნდა გვახსოვდეს მემამულე თავად-აზნაურობისა და მთავრობის დღევანდელი ურთიერთშორისი განწყობილება. ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა ვერ ურიგდება კონსტიტუციას, რადგან ეს მისი პირდაპირი უარყოფაა, მაგრამ ვერც თავისს სატრფიალო ძველი რეჟიმის აღდგენას ბედავს, რადგან ვერ ხედავს საამისოთ საჭირო საზოგადოებრივ ძალას. როცა მესამე სახელმწიფო დუმამ უკუაგდო ტერმინი „თვითმპყრობელობა“, ეს ლაზღანდარობა როდი ყოფილა, ეს მეტათ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი გახლდათ. ამან საქვეყნოთ და საბოლოოთ გამოააშკარავა, რომ ძველ რეჟიმს ბურჯებათ უდგანან მხოლოთ ცნობილი კლოუნები პურიშკევიჩი და დუბროვინი. მოგეხსენებათ ისტორია არ იცნობს ისეთ სახელმწიფო წყობილებას, რომელიც არ იყოს არც ერთ საზოგადოებრივ კლასსზე დაყრდნობილი. ხოლო სახ. დუმის მესვეურნი კი—მემამულე თავად-აზნაურობა —ვერა ბედავენ თავი შეაწყინონ მთავრობას ნამეტანი პრეტენზიებით, რადგან ეფიქრებათ მათსა და მთავრობას შუა გაჩენილ სერიოზულ უთანხმოებით არ ისარგებლოს რომელმამე მოწინაალმდეგე კლასმა ანუ კლასებმა.

აი თუ თქვენ კარგათ გაითვალისწინებთ ყველა ამას, მაშინ გეცოდინებათ, თუ რუსეთის დღევანდელი სახელმწიფო ვითარება რათ არის დაუსრულებელ წინააღმდეგობებით მოქსოვილი.

დასასრულ, ვიკითხოთ, თუ რას გვიმზადებს

**უახლოესი მომავალი.**

რაც უნდა დუხჭირი იყოს დღევანდელი ვითარება, ამას ერთი მხარე მაინც აქვს კარგი. ეს ვითარება თავის თავისი წინააღმდეგობებით აღიზიანებს გრძნობას და ამუშავებს გონებას. დღეს აჩქარებულის ტემპით ჰხდება საზოგადოებრივი ჯგუფებისა და კლასების თვით-გამორკვევა. არკვევენ თავის ვინაობას ის ბატონებიც, რომელნიც დღეს სათავეში უდგანან სახელმწიფო დუმას. აქ კლასიური ინტერესები ბოლოს მაინც თავისას გაიტანენ „მესვეურნი“ დაბოლოს მაინც იმსჭვალებიან იმ აზრით, რომ როგორც პოლიტიკურის, ისე ეკონომიურ ბატონყმობის აღდგენა ფუჭი ოცნებაა და რომ ვისაც სწადიან საზოგადოებრივ ქადის დასაკუთრება, ის უეჭველათ უნდა შეეგუებოდეს თანამედროვე კაპიტალისტურ ვითარებას და განამტკიცებდეს ახალ პოლიტიკურ ფორმებს —კონსტიტუციას. საგულისხმოა, რომ მეორე დუმის დათხოვნის უმალვე გერმანიის მემამულეებმა, იუნკრებმა თავიანთი ორგანოს, „Kreux Zeitunq“-ის ფურცლებიდან გადმოსძახეს რუსეთის თანამოძმეებს: „თუ არ გინდათ საბოლოოთ თქვენი თავის დაღუპვა — არ შესცდეთ და ფეხი არ შესდგათ რესტავრაციის გზაზე, ეცადეთ ყოველის ღონისძიებით კონსტიტუციის გამაგრებასო“. ამას წინათ კიდევ მემარჯვენე დეპ. კრუპენსკიმ თურმე შესძახა: „ჩვენთვის რესტავრაცია უფრო საშიში არის, ვიდრე რევოლიუციაო“... მაშ ასე, „გონიერება“ ბოლოს იმარჯვებს. ძველი რეჟიმი კვდება, კონსტიტუცია მყარდება.

მაგრამ ეს კონსტიტუცია, რა თქმა უნდა, ზედ-გამოჭრილი იქნება აგრარიების (მემამულეების) ინტერესებზე. ოქტომბრისტები მაგ. რა დარწმუნდებიან, რომ განსაკუთრებულ მდგომარეობით შემოაქვთ უუფლებლობა, თვითნებობა, პირადი განსჯის ატმოსფერა და ამრიგათ რყვნიან მთავრობის აგენტებს და მცხოვრებლებს, ძირს უთხრიან კანონის ავტორიტეტს (თ-დი გოლიცინი), სახ. დუმა იმპერტიულათ მოითხოვს ამგვარ მდგომარეობათა გაუქმებას, და დაამყარებს „უფლებრივ წყობილებას“. საკმაო იქნება სადმე გაჩუჩუნდეს სახალხო მოძრაობა, რომ იმავე დუმამ მოითხოვოს სამხედრო წესების შემოღება. „მოქალაქობრივი უფლებანი“ აღიარებული იქნება ახალ კონსტიტუციაში, ხოლო რა ჯურის იქნება ეს უფლებანი, ამას კარგათ მოწმობს ოქტომბრისტების ცნობილ ორატორის გრ. უვაროვის თუნდ შემდეგი განცხადება: „მე ვფიქრობ— სთქვა მან— რომ ბეჭდვითი სიტყვის ცენზურა უნდა არსებობდეს ყოველ უფლებრივ სახელმწიფოშიო!“.. გლეხ-კაცობა რომ ვერაფერს ეღირსება სხვილ მემამულეებისაგან ამაზე ლაპარაკიც კი მეტია. რაც შეეხება პროლეტარიატის მდგომარეობას ოქტომბრისტულ კონსტიტუციაში, ესეც კარგათ განგვიმარტა „მესვეურების“ ორატორმა ბარონ ტიზენგაუზენმა, როცა მან განაცხადა, რომ კაპიტალისტებისა და მუშათა კლასის შორის არავითარი ეკონომიურ ინტერესთა წინააღმდეგობა არ არსებობს და თან დასძინა: „თავმომაბეზრებელი ყვირილი: „ყველა ქვეყნების პროლეტარებო შეერთდით“ რუსეთში უნდა შეიცვალოს—ლოზუნგათ: „ძირს პროლეტარიატი!“*) რომ არც დაჩაგრულ ერების ბედი იქნება უკეთესი ესეც უკვე შეგვატყობინა დუმის იმავე სხდომაზე ოქტომბრისტმა გოლოლობოვმა, როცა ღაღად-ჰყო: რუსეთში მცხოვრებ ყველა ერებს სრული უფლება უნდა ჰქონდეთ უყვარდეთ თავიანთი სამშობლო და ეროვნება, მაგრამ მათ საბოლოოთ უნდა დაუტევონ ოცნება ავტონომიაზე და უნდა შეუერთდენ რუსებსო.**)

ამრიგათ, ეხლა ჩვენ ვიცით კონკრეტიული შინაარსი იმ აღსარებისა, რასაც იმეორებს მთელი პროგრესიული საზოგადოება თუ პრესა: „რევოლიუცია დამარცხდა, გამარჯვებულია რეაქცია!“ რევოლიუცია დამარცხდა იმ აზრით, რომ აგრარული საკითხის გადაჭრა, დემოკრატიული კონსტიტუცია და დაჩაგრულ ერთა თვით-არსებობის უფლება დღესაც ისეთივე სანატრელია, როგორც იყო გუშინ. მაგრამ სახალხო მოძრაობას არც მუქთათ ჩაუვლია, რადგან მთელი რეჟიმი საბოლოოთ წელ-მოწყვეტილია და იგი ვერასოდეს ფეხზე ვეღარ გაჩერდება. გარდა ამისა, ოქტომბრისტული კონსტიტუცია ძველ რეჟიმთან შედარებით მეტ საშუალებას მოგვცემს ხალხში სინათლე შევიტანოთ, მისი ძალ-ღონე თვით-მოქმედება განვავითაროთ, და უფრო ნაყოფიერათ ავამოძრაოთ უკეთესი მერმისის მოსაპოებლათ.

**ონ.**

მორიგი საკითხები.

მემამულე თავადაზნაურობის კონსტიტუცია, აი რა მყარდება დღეს რუსეთში. და თუ ეს კონსტიტუცია -როგორც ზემო წერილში იყო აღნიშნული—ცარიელზე სვამს გლეხობას და პროლეტარიატს, იგი რასაკვირველია, არც ბურჟუაზიას ეშლება ფიანდაზათ. მემამულენი თავიანთ ბატონობაში რამოდენიმე იზიარებენ მხოლოთ მსხვილ ბურჟუაზიას და ესეც დრომდის, ვიდრე ამათი ეკონომიურ ინტერესების სხვა და სხვაობა ხმა მაღლა ალაპარაკებოდეს, ვიდრე მსხვილი ბურჟუაზია საკუთარ ფეხზე დადგომას შეიძლებდეს. რაც შეეხება წვრილ და საშუალო ბურჟუაზიას, ესენი სასტიკათ არიან მოტყუებულნი, მათი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები მსხვერპლათ ეწირება მსხვილ მემამულეებს. რა-

---

*) იხ. ამავე ჟურნალის პირველ №-ში დაბეჭდილი „სახელმწიფო დუმა“.

**) იხ. იქვე.

ლა საკვირველია თუ ხსენებული ბურჟუაზია მწვავე უკმაყოფილებას განიცდის, და ეს უკმაყოფილება თუ კიდევ არ გაღვივდება, არ განელდება, როცა სამართლიან გულის წყრომას კანონიერი ფორმები მიეცემა გამოსასვლელათ.

ცხადია ოქტომბრისტების კონსტიტუცია დიდ ხანს ვერ იბოგინებს, რადგან შეუძლებელია რამდენიმე ათი ათას მემამულემ მორჩილებაში იყოლიოს 140 მილიონი ხალხი, რომელიც უკვე ძალ-ღონეს იკრებს და უძლეველის იარაღით, **ცნობიერებით** იმოსება. ის რაც ჩვენ გამოვიარეთ, მხოლოთ ერთი ეტაპი იყო გრძელი პროცესის. ჩვენ გადავდგით მხოლოთ პირველი და მასთან უდიდესი და უძნელესი ნაბიჯი საქვეყნო მიზნის განხორციელებისაკენ. ეს მიზანია ადგილ-მამულების საკითხის გლეხობის სასარგებლოთ გადაწყვეტა-რაც იმავე დროს ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების საკითხია— და მთელ სახელმწიფოს წყობილების დემოკრატიზაცია (დემოკრატიული კონსტიტუცია). ეს იმპერიის სამკვდრო-სასიცოცხლო საქმეა და ამიტომაც ჩვენ ბუნებრივის აუცილებლობით ვივლით ამ მიზნისაკენ; ამიტომაც განმათავისუფლებელი მოძრაობა არ მომკვდარა, ის მხოლოთ საზოგადოებრივ ცხოვრების გულში ჩაძვრია და კვლავ იწარმოებს, შეიძლება სხვა ფორმებით და სხვა ტემპით, მაგრამ მაინც იწარმოებს, სანამ არ განხორციელდება ხსენებული მიზანი. ძნელი გამოსაცნობია როდის მივაღწევთ ამას. ერთი რადიკალური გაზეთი ამას წინათ ანგარიშობდა, რომ 25 წელზე ადრე იმედი არ უნდა ვიქონიოთ; ისტორიის განმავლობაში რუსეთს ყოველთვის დაახლოვებით 25 წლის პერიოდი სჭირდებოდა ხოლმე, რათა სახალხო ენერგიის ისე ძალუმათ ამოექშინა, რომ სახელმწიფოში თვალსაჩინო ცვლილება მომხდარიყოვო. რა თქმა უნდა ეს სრულიად უსაფუძვლო პესიმიზმია. პირიქით საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი მოძრაობა მოსალოდნელია სულ მოკლე დროში. მარა წინასწარმეტყველებას ვერავინ იკისრებს; ჩვენი ვალი მხოლოთ ის არის, რომ ეს პროცესი რაც შეიძლება დავაჩქაროთ და რაც შეიძლება ნაყოფიერი გავხადოთ. ეს ითხოვს ხალხის ფართე მასის გაცნობიერებას და ორგანიზაციას, ერთიც და მეორეც რომ სათანადოთ ხდებოდეს, ამიტომ საჭიროა იმ საშუალებათა გათვალისწინება, რომელიც ხალხის ენერგიის მიზნისშესაფერათ ამუშავებდა. ეს თავის მხრივ ითხოვს, რომ წამოყენებულ იქმნას და სათანადოთ გადიჭრას მთელი წყება სოციალ-პოლიტიკურ საკითხებისა. ამ წერილში ჩვენ აზრათ არა გვაქვს ეს გავარკვიოთ, აქ გვინდა მხოლოთ ეს საკითხები ოდნავ მოვიხაზოთ.

კაი ხნიდანვე ცნობილია ის ჭეშმარიტება, რომ „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მყობადი მომავალისა", საჭიროა ეს ფორმულა გავხსნათ და შიგ კონკრეტიული შინაარსი მოვათავსოთ. უნდა სისწორით და ნათლათ გავითვალისწინოთ დღევანდელი ვითარება, უნდა გავიგოთ, თუ რას წარმოადგენს იგი და საითკენ არის მიდრეკილი მისი განვითარება. ამიტომ უწინარეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ რამ მოგვიყვანა დღევანდელ ვითარებამდე, უნდა კარგათ შევიგნოთ თუ როგორ მოხდა, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობა დამარცხდა. ეს არის ძირითადი საკითხი, რომლის ახსნა უნდა მოვძებნოთ რუსეთის ეკონომიურ განვითარების განსაკუთრებულ ხასიათში; ამ უკანასკნელის შედეგია ის დიდ მნიშვნელოვანი გარემოება, რომ რუსეთში ბურჟუაზია უფრო სუსტია, ვინემ ეს შეეფერება რუსეთის კაპიტალისტურ განვითარებისაგან მიღწეულ საფეხურს, ხოლო პროლეტარიატი კი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვინემ ეს შეეფერება იმავ განვითარების საფეხურს. რაც შეეხება დამარცხების უახლოეს მიზეზებს, ეს ერთიანათ ჩაქსოვილია პოლიტიკურ პარტიების მოქმედებაში. ამ უკანასკნელის განხილვა ჩვენ მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ იძულებული გავხდებით რუსის ერთ ცნობილ მწერლის სიტყვებით ვაღიაროთ: Захватило насъ трудное время, не готовыми къ трудной борьбѣ. (ძნელმა დრომ გვისწრო, ძნელი ბრძოლისთვის მოუმზადებელთ!)

ბურჟუაზიული პარტიები განმათავისუფლებელ მოძრაობის მიზნებს თავისათ აღიარებდენ და საერთო ფერხულში ებმებოდენ, მაგრამ იმავ დროს ამ ფერხულს ისინი გზას ულობავდენ დარწმუნებულნი, რომ ამ გზას ქვეყანა დაღუპვისაკენ მიჰყავდა. მაგრამ თუ ბურჟუაზიული პარტიები უნუგეშო ლაჩრობას მოეცვა და პოლიტიკურ უხასიათობა-უძლურებას იჩენდენ, სამწუხაროთ, თავის მოწოდების სიმაღლეზე არ აღმოჩნდა არც ის პარტია, რომელსაც ისტორიამ წილათ არგუნა მთელ მოძრაობის მესვეურობა. იმ დროს, როცა ძველი რეჟიმის ყველა ბნელი ძალები და ის საზოგადოებრივი ჯგუფები, რომელნიც ბურჯათ გაუხდენ კონტრრევოლიუციას, გამძაგებით ირაზმებოდენ, რათა ჯოჯოხეთურის სიმკაცრით მოპირქვავებულიყვენ თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხის წინააღმდეგ, აი ამ დროს პარტიის მოწინავეები და ხელმძღვანელნი დასტრიალებდენ იმის გაგებას, თუ რა ხასიათის სოციალურ პროცესს განიცდიდა რუსეთი, ბურჟუაზიული რევოლიუცია იყო ეს, თუ სოციალისტური და ან შეგვეძლო თუ არა განუწყვეტელ რევოლიუციით მივსულიყავით პირდაპირ სოციალიზმის განხორციელებამდე.

მარტო ასეთ საკითხთა წამოყენება საკმაოთ გვეუბნება, რომ სოციალდემოკრატია ვერ ასცდებოდა სერიოზულ ტაქტიკურ შეცდომებს და აკი ვერც ასცდა...

ამ შეცდომათა შეგნება და აღიარება თავდები იქნება იმისა, რომ ესენი მომავალში აღარ განმეორდებიან და მოქმედებაც უფრო განაყოფიერდება.

განვლილ მოძრაობისა და თვით ჩვენი მოქმედების კრიტიკულათ განსჯა, მასთან აწმყო ვითარების შეგნება ჩვენ სხვა მორიგ საკითხებთან ერთათ წინ გვიყენებს კიდევ ერთ საქმეს, რაც აქ ხაზ-გასმით უნდა აღვნიშნოთ.

განმათავისუფლებელ მოძრაობას ჰქონდა და შემდეგშიაც უეჭველათ ექნება ნაციონალური ხასიათი; ნგრევა-შენების პროცესი, რასაც განიცდის დღევანდე-

ლი რუსეთი, ხელ-უხლებლივ ვერ დასტოვებს იმ ეროვნებათ, რომელნიც ისტორიის საერთო სახელმწიფოს ჩარჩოებში ჩაუქედნია და რომელთათვისაც ორკეცი მონობის უღელი დაუდიამს ქედზე. აქ საერთო, საიმპერიო საქმეს ბუნებრივის აუცილებლობით ზედ ერთვის ამ ერების საკუთარი საჭირ-ბოროტო საკითხი. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ სრულიად მოუმზადებელით წამოგვისწრო. მაგრამ უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ამ მოუმზადებლობას ჩვენთვის არავითარი განსაკუთრებული უბედურება არ დაუტეხნია თავზე à propos არიან ისეთი გულ-უბრყვილო ამხანაგები, რომელნიც ფიქრობენ, ვითომ ჩვენი პარტიის მდგომარეობა ეროვნულ საკითხში დიდათ სასარგებლოც კი იყო. ესენი გვარწმუნებენ მაგ. რომ ქვეყნიერება დაიღუპებოდა, უკეთუ სოციალდემოკრატია მთელის ძალ-ღონით არ დაეტაკებოდა ავტონომისტურ იდეებსაო, რადგან ეს იდეები „იმ კრიტიკულ მომენტში არსებითად სეპარატიზმს მოაწევდა, რასაც უნდა დაემხო მთელი მოძრაობა და თითონ ხალხიცო". სეპარატიზმი რომ დამღუპველი იქნებოდა და იქნება, ეს ეჭვს გარეშეა, მაგრამ ავტონომისტური იდეა რათ უნდა მოასწავებდეს სეპარატიზმს და ისიც კრიტიკულ მომენტში, ეს კი მარტო ალლაჰმა უწყის.. ის ამხანაგები, რომელნიც არც პარტიულ ბრძოლის ვნებათა ღელვას გაუტაცნია და არც ახალ გაზდობის გამბედაობით ცხრა მთას იქიდან ერთის კალმის მოსმით სწყვეტენ ჩვენს ადგილობრივ საჭირ-ბოროტო საკითხებს, აი ეს ამხანაგები დაამოწმებენ, რომ რუსეთში, სწორეთ „კრიტიკულ მომენტში" მოხდა სრულიად წინააღმდეგი მოვლენა, ე. ი. ცენტრისაგან გათიშვა შეიცვალა ცენტრთან დაახლოვებით და სეპარატიზმმა ადგილი დაუთმო ავტონომიას (გაიხსენეთ პოლონეთი). კერძოთ ჩვენი ქვეყნის შესახებ, იგივე ამხანაგები დაამოწმებენ შემდეგს: იმავე „კრიტიკულ მომენტში" ყველა თუ არა, ნაწილი მაინც ამხანაგ—„ცენტრალისტებისა" დაჟინებით ადგენ იმ აზრს, რომ უფრო რევოლიუციონერმა განაპირა ქვეყნებმა საზოგადოთ და კავკასიამ კერძოთ თავს უნდა იდვან გაბედული ინიციატორობა, რათა ბოლოს მაინც აამოძრაონ და თან გაიყოლიონ ცენტრიო. ამხანაგი ავტონომისტები და თვით ამ სტრიქონების დამწერი ენერგიულათ უარჰყოფდენ ასეთ აზრს და იცავდენ მხოლოთ ცენტრთან ერთათ მხარდამხარ სიარულს. მაშ ავტონომისტობა უეჭველათ არ მოასწავებს ცენტრისაგან გათიშვას და განცალკევებას.

რაც იყო მოძრაობის პირველ ხანებში, ის აღარ განმეორდება, ხოლო თუ პარტია კვლავ იმავ ავლა-დიდებით გამოვა და ისევე გადასჭრის ნაციონალურ საკითხს, როგორც მაშინ, ეს ეხლა, თქმა არ უნდა, გამოიწვევს ჩვენივე ძალების დაქსაქსვას, მოძრაობის დასუსტებას და მით მოამზადებს ხალხის უსასტიკეს დამარცხებას. წინათ თუ ჩვენ მოუმზადებელნი ვიყავით, სამაგიეროთ ნაციონალისტური პარტიებიც უძლურნი იყვნენ და თვით ხალხიც, მეტი რომ არა ვთქვათ, გულ-გრილათ ეკიდებოდა ეროვნულ საკითხს. ეხლა კი ნაციონალიზმი ჩვენს თვალწინ იზრდება და ძალ-ღონეს იკრებს. ამასთანავე, განვლილმა მოძრაობამ ძლიერი მუჯლუგუნი ჰკრა ხალხის ეროვნულ გათვითცნობიერებას. ამას დაუმატეთ მთავრობის გაშმაგებული ნაციონალური პოლიტიკა (უკანასკნელი საარჩევნო კანონი, ვენს მიწა-წყალზე გაძლიერებული გადმოსახლება შორეულ კუთხეებიდან, ჩვენი კულტურულ დაწესებულებათა გაორკეცებული დევნა, ჩვენი შკოლების დაკეტვა) და თქვენ დაგვეთანხმებით, რომ ვითარება საგრძნობლათ შეცვლილია.

დიახ, დრო აღარ იცდის და გაღიზიანებული ეროვნული ჭრილობანი მ ლამოს გვნუკავს. დღეს აღარ მოხერხდება საკითხის გადაფურჩეჩება და ისეთ ზოგადი ფრაზებით დაკმაყოფილება, როგორც არის: ეროვნული თვითგამორკვევის უფლება და სხ. დღეს ჩვენი მიუცილებელი, წმინდა ვალია შევიმუშაოთ განსაზღვრული **ნაციონალური პრ გრამა**, ე. ი. მთელი წყება იმ კონკრეტიულ მოთხოვნათა, რომელთა განხორციელება უნდა აკმაყოფილებდეს ჩვენი ქვეყნის განვითარების ინტერესებს და იმავე დროს უზრუნველ ჰყოფდეს აქ მცხოვრებ სხვა და სხვა ეროვნებათა მუშა ხალხის ერთობლივ, შეთანხმებულ და სოლიდარულ მოქმედებას. აქვე ვაღიარებთ, რომ ჩვენთვის თანამედროვე პირობებში ნაციონალურ საკითხის გადაჭრა, გარეშე ავტონომიისა, არ არსებობს. აქვე ვიტყვი, რომ ამ ქვეყნის ტერიტორიალურ ავტონომიასთან ერთათ ჩვენ ვერ ავცილდებით აგრეთვე ნაციონალურ-კულტურულ ავტონომიას.

დღეს ეს ჩვენთვის სრულიად ნათელი, შეურყეველი, ულრმესი, გაფოლადებული რწმენაა.

დასასრულ, შევნიშნოთ, რომ დღეს გასაგებია და შესაწყნარებელიც კამათი იმაზე თუ რა ტიპის, რა შინაარსის და კომპეტენციის ავტონომიაა ჩვენთვის საჭირო, ხოლო ის ამხანაგები, რომელნიც ავტონომიას დღესაც ისე უარჰყოფენ, როგორც წინათ „და რა მშვენიერი ხონჩითაც უნდა მიუტანო—ისინი მას ხონჩიანათ შორს აგდებენ", აი ეს ამხანაგები სასტიკათ ივიწყებენ თვით პარტიის ინტერესებს, ივიწყებენ თვით სოციალდემოკრატიულ პრინციპებს.

დაწვრილებით შემდეგ წერილებში.

ლ. დ.

---

## პოეზია.

(ნადსონისა.)

უწინ, სამოთხის მყუდრო სივრციდან
ძირს ჩამოფრინდა გაბრწყინვებული;
პირმომცინარე, მშვიდი, ნარნარი
და ყვავილებით ტურფად შემკული!
მას თან მოჰქონდა გრძნობა, ოცნება,
ცის ჰარმონია დამატკბობელი;
მშვენიერებას თავს ევლებოდა
და ხელოვნების იყო მფარველი!

—

მაგრამ როს ჰნახეს, ყვავილთ გვირგვინი
შუბლს მოაგლიჯეს, ფეხქვეშ გასთელეს;
და მწუხარებამ, სევდა-ნაღველმა
სახეს აჩრდილი გარდაათარეს!.
გრგვინვაპ უკვალოდ სიმღერა ჩაჰკლა,
სამხიარულო მიყუჩდა ჰანგი;
შუბლი შეუმკეს ეკლის გვირგვინით
და მწარე მოთქმით აკვნესდა ჩანგი!...

ლ—ი.

## როგორ გააჩინა ღმერთმა ადამიანი?

(შემდეგი*).

ქრისტე იყო ის არა ჩვეულებრივი არსება რომელშიაც სულიერი სისპეტაკე, სიდიადე და სიმაღლე შეერთებულიყო გარეგან სიმშვენიერესთან; ღრმა ნიჭთან, დიად აზრთან და სიკეთით და სიყვარულით ალსავსე გულთან მას ჰქონდა მშვიდი, წყნარი, ოდნავ სევდიანი, ნაზი, მომხიბვლელი, მომაჯადოებელი და წარმტაცი სახე, რომელიც ყველას იზიდავდა, ყველას იმორჩილებდა, ყველას იმონებდა. ყოველივე ამას მიუმატეთ მდიდარი, მხატვრული და მასთან უბრალო, ყველასათვის ადვილათ გასაგები ენა, ღრმა რწმენით გამსჭვალული ძლიერი სიტყვა, რომელიც გულის სიღრმემდის სწვდებოდა ყოველ მსმენელს და ადვილი წარმოსადგენი იქნება ის შთაბეჭდილება, რომელსაც ის თავის მსმენელებზე ახდენდა. თუ ჩვენს დროში უნიჭო აგიტატორს ხშირათ რამოდენიმე ათასი კაცი უგდებდა ყურს თავისი ნებით, თუმცა გაგონილიდან მესამედიც არ ესმოდა, სიღატაკე, მონობა და ძალმომრეობა ძველათ კიდევ მეტი იყო და, რასაკვირველია, ქრისტეს მსმენელთა რიცხვი დღითი დღე მატულობდა; ურიცხვი გროვა მსმენელებისა მას თან დასდევდა და მისი ახალი სიტყვის გავლენა ისეთი ძლიერი იყო, რომ სასმელ-საჭმელი აღარ ახსოვდა ბევრს, ოღონდ ქრისტე მოესმინა. ხალხმა ქრისტე შეიყვარა, გაალმერთა და იმის ახლოს ყოფნას, იმის მზერას, მისი ტანისამოსის შეხებას უზომო ბედნიერებათ სთვლიდა. თავისი მოღვაწეობის დროს ქრისტემ სიმწარეც ბევრი გამოსცადა, უმადურობაც, უიმედობაც. მას ეგონა, ყოველ ადამიანში სიკეთესა და სიყვარულს ჰპოვებდა და ამიტომ ქვეყნათ ბედნიერების დამყარება ეადვილებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა: მდიდრებში, ფარისევლებში, ბატონებში მან ვერ ჰპოვა ის სიყვარული და სიკეთე, რომელსაც ეძებდა; ესენი პირველი მტრები გახდენ ქრისტეს მოძღვრებისა და რადგანაც ძალა ამათ ხელში იყო, კიდეც აცვეს ქრისტე ჯვარს.

რაც უფრო დრო გადიოდა, რაც უფრო გულს უწყლულებდენ ქრისტეს მისი მტრები, მით უფრო გული უტყდებოდა მას და ამის ზეგავლენით ქვეყნიური ბედნიერება თან და თან გადაჰქონდა ზეცას. გავრცელებულია აზრი— და ამ აზრს განსაკუთრებით სამღვდელოება იცავს—თითქოს ქრისტეს მიზანი მხოლოთ საიქაო ცხოვრება ჰყოფილიყოს და სააქაო კი მას მხედველობაში არა ჰქონოდეს. ქრისტეს თავიდათავი მიზანი ამ ქვეყნიური ცხოვრება იყო, სააქაო ბედნიერება სიყვარულზე და საერთო სიკეთეზე აგებული. სამოთხით გატაცების დროსაც კი ქრისტეს ეს ქვეყანა არასოდეს არ ავიწყდებოდა და ყოველთვის და ყველას უთითებდა: სამოთხეში ისე ვერავინ შევა, თუ აქ სიყვარულისა და სიკეთის საფუძველზე არ ააგო თავისი ცხოვრება. ამ საფუძველზე ქრისტეს უნდოდა საერთო ბედნიერების დამკვიდრება ამ ქვეყნათ. მდიდრებს ის ხშირათ ეუბნებოდა: აქლემისათვის უფრო ადვილია ნემსის ყუნწში გაძრომა, ვიდრე თქვენთვის სამოთხეში შესვლაო, გაუყავით ქონება ღარიბებსო და სხვა. ამით უნდოდა ქრისტეს, ყველას გულში სიყვარულისა და სიკეთის ტაძარი აეშენებია და ამგვარათ ყველა გაეთანასწორებია. და ბოლოს ქრისტეს ქადაგება მეორეთ მოსვლის შესახებ განა იმას არ ამტკიცებს, რომ მას ამ ქვეყნიური ცხოვრება ჰქონდა მუდამ სახეში? მეორეთ მოსვლის დროს ხალხი მკვდრეთით აღსდგება, ხორცს შეისხამს და ყველა მართალი ბედნიერ ცხოვრებას იწყებს. ქრისტეს მოძღვრების ძირითად თვისებას ის შეადგენს, რომ ის მორწმუნეთაგან საქმეს ითხოვს. ილოცეთ ცოტა, რადგანაც ღმერთმა ისეც იცის ყოველი თქვენი საჭიროება, ხოლო სიკეთე სთესეთ მუდამო, აი ქრისტეს აზრი. ეს ცხადათ ამტკიცებს, რომ მას ამ ქვეყნიური ცხოვრების მოწყობა უნდოდა ყველას საბედნიეროთ, თორემ ეს ქვეყანა რომ მას უარეყო, მაშინ სხვებსაც ურჩევდა: მხოლოთ ლოცვაში ატარეთ თქვენი დღენი, სხვა ამაოა ყოველივეო.

ქრისტემ უარჰყო ეს ქვეყანაო, დაჟინებით იმეორებს სამღვდელოება, რომელიც სრულებითაც არ უარჰყოფს ამ ქვეყნიურ ცხოვრებას. რომის პაპები ოქრო-ვერცხლში დასცურავდენ და დასცურავენ... დიდ ჯამაგირებს იღებენ, საკუთარის ეტლებით დასეირნობენ და ამ ქვეყნიურ ცხოვრებას იმდენათ უარჰყოფენ, რომ ორდენებსაც არ უკადრისობენ! ხალხს კი—მშიერს, ღატაკს, შევიწროებულს, ძალმომრეობით შეხუთულ ხალხს ამგვარი უარმყოფელნი ამ ქვეყნიური ცხოვრებისა უქადაგებენ: აქაური ცხოვრება წარმავალია, აქ ჩვენ სტუმრები ვართ, აქაური რათ რამე გინდათ, საიქაოსათვის იზრუნეთ მხოლოთ, აქ სიღარიბეც აიტანეთ, გაჭირვებაც, შევიწროებაც, უსამართლობაც, მონობაც, ძალმომრეობაც, დაჩაგვრაც, სამაგიეროთ სამოთხეში დამკვიდრდებითო. საბრალო ხალხს ყოველივე ეს სჯერა, მორჩილათ ზიდავს მძიმე უღელს, რომელზედაც წამოსკუპებული არიან სხვა და სხვა ჯურის ბატონები, და დარწმუნებულია, რომ ამით ის ქრისტეს ნებას ასრულებს და სამოთხეს იმკვიდრებს.

დიახ, ქრისტე უარჰყოფდა მხოლოთ იმ ყალბ, ცრუ, და უსამართლო სისხლში შელებილ ცხოვრებას, რომლითაც დღესაც სცხოვრობს კაცობრიობა და ჯერ ალბათ კიდევ დიდხანს იცხოვრებს, სანამ ძლიერი მაჯა ოფლის მღვრელისა ძირიანათ არ განაახლებს ქვეყნიერებას ხოლო ქრისტეს ამ ყალბი ცხოვრების ნაცვლათ აქვე ამ ქვეყანაზე უნდოდა ნამდვილი, ადამიანური ცხოვრების აგება და თუ მის განზრახვას, იმის ქადაგებას სრულებით ამახინჯებენ, იმიტომ რომ ქრისტეს ავტორიტეტით ხალხი დააბრმავონ. ხალხის სიბრმავე კი საჭიროა ბატონების კეთილ დღეობისთვის. სამღვდე-

*) იხ. ალიონი № 1.

ლოება მას აქეთ რაც ის აღორძინდა, ან ბატონი იყო, როგორც მაგალითად ევროპაში საშუალო საუკუნოებში, ან ბატონების წყალობის ქვეშ იმყოფებოდა, როგორც დღეს რუსეთში, ამიტომ ევროპის ისტორიამ არ იცის არც ერთი ხანა, როცა სამღვდელოება სინათლის მომხრე და გაჭირვებული ხალხის ჭირისუფალი ჰყოფილიყოს.

**ივ. გომართელი.**



## სხვა-და-სხვა ამბები (ჩვენში)

„გურიის რესპუბლიკის“ საქმე, რომლის გარჩევა თბილისის სამოსამართლო პალატამ გადასდო ამას წინათ, გადაიტანეს ქ. ოდესაში, სადაც უნდა გადიყვანონ პასუხის გებაში მიცემული პირები.

სახელმწიფო სათათბიროს მიუღია კანონი, რომლის ძალით ქ. ოზურგეთი, დუშეთი და ახალ-ქალაქი ხუთი წლით განთავისუფლებულ იქნენ პოლიციის შესანახ

ხარჯებისაგან.

—

13 მაისს თფ. საგუბერნიო საპატიმროში პოლიციელებმა გაჩხრიკეს ყველა კამერები. მესამე კამერაში იატაკის ქვეშ აღმოაჩინეს გათხრილი მიწა $2^1/_2$ არშინზე ხვრელს ზევიდან ეფარა აგურები. შიგ ნახეს პატარა ყუთი, რომელშიაც რკინის კეტი იყო შენახული.

როგორც გაზ. „ამ‘.-ს“ შეუტყვია, ბ-ნ სოლ. ასლანიშვილს შეუდგენია ოსმალურ-ქართულ სახელმძღვანელო წიგნი სურათებით, „დედა-ენი“ს მსგავსად. ეს სახელმძღვანელო დიდს დახმარებას გაუწევს იმ ქართველ მაჰმადიანებს, რომელთაც დაივიწყეს ქართული ენა.

—

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სასარგებლოთ გამართულ სეირნობიდან დარჩა წმინდა შემოსავალი 2500 მანეთი. მთელი შემოსავალი ყოფილა 3060 მ:ნ.

—

ამ დღეებში ჩამოვიდა ვარშავიდან წ. კ. ს. გამგეობის თამჯდომარე გენ. მ. ყაზბეგი და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

—

წ. კ. ს. გამგეობამ სკოლების დასათვალიერებლათ ბათუმში და ახალ-სანაკში გაგზავნა—ლ. ბოცვაძე; კავკავში—ალ. ყიფშიძე; ბორჩალოს მაზრაში—ს. ფირცხალავა; წინარეხში—პ. სურგულაძე.

—

ტფ. ვაჭრებმა მოილაპარაკეს იხმარონ სასტიკი საშვალებანი შანტაჟისტების წინაალმდეგ.

—

14 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზე მეტეხის ციხის ზედა მოედანზე მდგომმა დარაჯმა შენიშნა მ·კვრის მხრიდან ორი კაცი, რომელნიც გაჩერდენ მეტეხის ხიდზე და ლაპარაკი დაუწყეს ტუსაღებს. ერთმა მათგანმა ქაღალდში გახვეული ქვა შეაგდო ციხის ფანჯარაში. ჯარის-კაცმა რამდენჯერმე გააფრთხილა და მისცა წინადადება დაშლილიყვნენ, მაგრამ უცნობებმა არ გაუგონეს. მაშინ დარაჯმა ესროლა თოფი და ერთი უცნობთაგანი სასისვდილოთ დასჭრა. მეორე გაიქცა. დაჭრილი მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს ის აღმოჩნდა თბილისის მცხოვრები არამ გაიკაზოვი.

—

ქუთაისის საგუბერნიო ციხეში 20 აპრილიდან 9 მაისამდე მომკვდარა სახადით ოცი კაცი

—

ქ. ფოთში მძვინვარებს სახადი და ყელ-ჭირვება, რომელიც ბევრს ასალმებს წუთი სოფელს.

—

როგორც ჩვენ კახეთიდან გვატყობინებენ, თელავის მაზრის უფროსს დაუბარებია თავისთან სხვადასხვა სოფლებიდან აუარებელი ხალხი და გამოუცხადებია მათთვის ოცი დღის განმავლობაში თბილისის გუბ. და ზაქათალის ოლქის გარეშე ამოირჩიონ საცხოვრებელი ადგილი და შეატყობინონ პოლიციას. წინაალმდეგ შემთხვევაში დაპატიმრებას დაპირებია. გლეხები დიდს საგონებელში არიან ჩაცვივნულნი. უმეტესობა მათგანი ცოლშვილიანია და აღარ იციან, რა ქნან. როდესაც შეჰკითხებიან მაზრის უფროსს, თუ რისთვის დაატეხეს მათ ამისთანა რისხვა, იმას უპასუხია, რო ეგ თქვენი საქმე არ არისო...

—

გარეთ კახეთიდან გვწერენ, რომ ს. ახალ-სოფელში გლეხებს ჩაუქოლიათ სამოცი წლის გლეხი გეურქ ალაბალოვი და იმისი ძმის-წული ისაკ ალაბალოვი. საქმის გარემოება ამ ნაირათ ყოფილა: ახალ-სოფლელებს შიგნით კახეთიდან ღვინო მოჰქონებიათ. ურმები გამოუშვიათ თავიანთ სოფლის პირში. დამსხდარან საქეიფოთ. ისაკ ალაბალოვს ჯავრი მოსვლია, რატო წვენი ადრე არ დამისხითო და ჯამი უსვრია გიგო მაღალდაძესთვის. მერე ცელისთვის მოუვლია ხელი და გიგო მაღალდაძესთვის მუცელში შემოუკრავს მასვე ეშველებოდა თურმე მოხუცი ბიძა.. მაღალდაძე ჭრილობისაგან გარდაცვლილა. ამ ამბის გამო სოფლელები აღელვებულან და ჩაუქოლიათ გეურქა და ისაკი ალაბალოვები.

—

ზაქათალის ოლქში ჭიაურის ახლო ლეკებს გაუცარცვათ თუთხმეტი ფურგუნი. გაუცარცვნიათ აგრეთვე მგზავრებიც.

—

„გოლს მოსკვის“ ჟენევიდან ატყობინებენ, რომ იქ დაუპატიმრებიათ რამდენიმე კაცი, რომელთაც აბრალებენ თბილისში ერევნის მოედნიდან ფულის გატაცებაში მონაწილეობის მიღებას.

—

11 მაისს დუშეთის ქუჩაზე მოკლეს სანდრო მჭედლიშვილი (ხუციშვილი), ეს ის ხუციშვილია, რომლის დასაჭერათ თბილისიდან დილომში კაზაკთა რაზმი გაიგზავნა. ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა მოყვა ამას. კაზაკებს ხუციშვილი დაუპატიმრებიათ, მაგრამ გზაში გაქცევიათ ისევ.

—

გამოვიდა თბილსში ახალი ორკვირეული ჟურნალი „ქართული სამკურნალო ფურცელი“ ექ. ვ. ღამბაშიძის რედაქტორობით. ნომერი კარგათაა შედგენილი და სუფთათაა გამოცემული. თვითეული ნომერი ღირს ორი შაური. უსურვებთ წარმატებას.

—

წარსულ კვირას საღამოთი მეტეხის ციხიდან გაიქცენ ტუსაღები: პავლე ფშავლიშვილი იგივე აფციაური, მ. ჩირიკაძე, ს. ბედიაშვილი, ა. ქართველიშვილი, ს. თაკაიშვილი, ე. კუჩინი, ვ. დათუნაშვილი, ა. დოროშენკო, ბ. თოფურია; ა. შავლაძე, ი. იმედაშვილი, ო. ალაბოზიანცი, ლოლობერიძე, გ. მაისურაძე, მ. კორჩულაძე, გ. მისხელი და ზ. ტურნიანცი ტუსაღების გაქცევა მოხდა შემდეგ პირობებში: მეტეხის ციხის კარებიდან მისულა უცნობი კაცი და ფანჯარა დაუკაკუნებია. უფროსმა მეკარემ, ეგ. პალჩიკევიჩმა, ფანჯარა გააღო; მისულმა უცნობმა სთხოვა მას გადაეცა ტუსაღ მაისურაძესთვის კალათი სურსათით. პალჩიკევიჩმა დაუძახა მაისურაძეს და როდესაც ეს უკანასკნელი მივიდა კარებთან, სთხოვა ციხის ზედამხედველს ვიშნიკონს მიელო კალათი სურსათით და დაებრუნებია ცარიელი. ამდროს გაისმა ეზოს გარეთ და შიგნით სროლის ხმა. სამი ტყვიით გულსა და მუცელში მძიმეთ დაჭრილი მოდარაჯე ჯარის კაცი იუზეფ ქრისტოფოროვი წაიქცა. ამის შემდეგ იფეთქა ყუმბარამ. კალათის მომტანმა უცნობმა მაუზერის რევოლვერით მოკლა ჯარის კაცი პეტრე დუბმასი და დასჭრა გოროდთვოი, რომელნიც იდგენ კედლის გარეთ. გაიწმინდეს რა ამ ნაირათ გზა, ტუსაღები მიაწყდენ კარებს, გაალეს ის და მიიმალენ. გამოიწვიეს ჯარი, მაგრამ ტუსაღების კვალსაც კი ვერ მიაგნეს. ყოველნაირი ზომებია მიღებული მათ აღმოსაჩენათ.

ყველა გაქცეული ტუსაღები სისხლის სამართალში არიან მიცემულნი. პ. ფშაველიშვილს ედება ბრალათ ი. ჭავჭავაძის მოკვლა; ჩიკაძეს, ბედიაშვილს და ქართველიშვილს—უბნის ზედამხედველ მუსტიაცის დაჭრა; თაყაიშვილის, კუჩინს, დათუნაშვილს, დოროშენკოს, თოფურიას, შავლაძეს, იმერლიშვილს, ლოლაბერიძეს და ალაბაბიანცს—ფოსტის მატარებელზე თავდასხმა ბეიუქკიაკში და ყარაიაზში; მაისურაძეს და ბურჭულაძეს—საკანდიტეროს პატრონ ალიხანოვის მოკვლა და პეროუშკინზე მოსაკლავათ თავდასხმა; მიხელი პასუხის გებაშია მიცემული 13, 1630 და 1632 სტ. ძალით; შ. ტურიანცს ბრალათ ედება ყუმბარების კეთება და იარაღის შენახვა.

## რუსეთში.

—სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს მოსკოვში 1-ს.

—პეტერბურგის ებრაული გაზ. „დერ ფრაინდი“ დააჯარიმეს 300 მან.

—ბერდიჩევის ციხეში რომელიც ზედმეტათ გავსებულია ტუსაღებით, 700 კაციდან 100 სახადითაა ავათ.

—კერჩში მესაკუთრის თამბაქოს ფაბრიკის მუშები გაიფიცნენ.

—სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს კიევში ოთხს, ეკატერინოსლავში—7 ს.

—გადამდები სნეულება—ტიფი საშინელი სისწრაფით ვრცელდება მოსკოვში და კიევში.

—„რუსის ხალხის კავშირის“ განყოფილებამ ბესარაბიაში ლვინით მოვაჭრე ებრაელებს „ნადზორი“ დაუნიშნა

—სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს სევასტოპოლში ერთს, ირკუტსკში—ერთს.

—ვიტებსკის „ჭეშმარიტ რუსთა კავშირში“ აღმოაჩინეს ჭვავის ხორბლის გატაცება, რაც დანიშნული იყო დამშეულ ცხოვრებთა გამოსაკვებათ; საქმე პროკურორს გადაეცა.

—პოლტავაში გაიხსნა წვრილ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა სიეზდი „სტრაჟნიკთა“ დიდი რაზმის თანდასწრებით.

—ხერსონის სადისციპლინო ბატალიონის სალდათმა დეკანიძემ შეურაცხყოფისათვის მძიმეთ სცემა როტის კამანდირს კავიშჩუკს. ფელდფებელმა დეკანიძე იქვე მოკლა.

—პეტერბურგში მყოფი პირველი დუმის წევრები, რომელთაც ვიბორგის მოწოდების საქმეზე ციხე ჰქონდათ გადაწყვეტილი, 8 მაისიდან ისინი უკვე დაატუსაღეს და „კრესტში“ ცალ-ცალკე მოათავსეს. რომელიც თავის ნებით არ გამოცხადდა, ბინაზე დააპატიმრეს; პეტრუნკევიჩსა და ნაბოკოვს კი დატუსაღების ვადა გადაუდვეს: პირველს იმ დრომდე, როცა სენისგან განიკურნება, მეორეს კი, როცა მის მეორე საქმეს გაარჩევენ.

—სიკვდილით დასაჯეს ხერსონში ორი გლეხი.

—9 მაისს საღამოს 8 საათზე თავს დაესხა მილიუკოვს გაზეთ „რუსი“-ს 2 თანამშრომელი: პოპოვი და კლიმკოვი; მილიუკოვს მოლაპარაკების დროს მიაყენეს ხელით შეურაცხება.

მილიუკოვს ამის გამო ყოველ მხრიდან და ყველა პროგრესიულ პარტიებიდან მრავლათ მოუვიდენ მნახველები, დეპუტაციები, წერილები და ტელეგრამები, ყველანი უცხადებენ მას ღრმა თანაგრძნობას და ამასთანავე გამოსთქვამენ ზიზღსა და აღშფოთებას „კალმის ყაჩაღთა ველურ ძალმომრეობის“ წინააღმდეგ.

—სიკვდილით დასაჯეს სევასტოპოლში 3, ვორონეჟში—2.

# სახელმწიფო დუმა.

5 მაისის სხდომაზე, როგორც ვიცით, ოქტომბრისტებმა მოულოდნელათ წამოაყენეს ფინლიანდიის შესახებ შეკითხვა, რაზედაც სტოლიპინმა პასუხათ საათ ნახევარი ილაპარაკა. ვიცით აგრეთვე რომ ოქტომბრისტებმა სტოლიპინის პასუხის შემდეგ მოულოდნელათვე მოხსნეს ეს საკითხი დღის წესრიგიდან და პრემიერს სრული თანხმობა განუცხადეს. ასეთმა ტაქტიკამ დიდი მითქმა-მოთქმა და ეჭვი დაბადა დუმის დეპუტატთა შორის. ამბობენ: ყველაფერი ეს ოქტომბრისტებმა იმიტომ ჩაიდინეს, რომ ამით უნდოდათ მთავრობის თვალში დუმის ნდობისა და სახელის ისევ აღდგენა, რაც მათი აზრით შელახულ იქნა წინანდელ სხდომებზე შინაგან სამინისტროს პოლიტიკის წინააღმდეგ გალაშქრებით. ამბობენ იმასაც, რომ ფინლიანდიის შესახებ შეკითხვები თვით პრემიერმა მოაწყო, რადგანაც მას სურს დუმის ზნეობრივი ავტორიტეტით ისარგებლოს და ფინლიანდიასთან დამოკიდებულების შესახებ თვისი კანონპროექტი გაიყვანოს. ასეა თუ ისე, დუმის შემდეგ სხდომაზე ამ საკითხის შესახებ კრინტიც არ დაძრულა, მაშინ როდესაც რიგით კიდევ 23 ორატორს უნდა ელაპარაკნა და ამ ნაირათ დუმაში ყველა აზრი და შეხედულება უნდა გამოთქმულიყო.

ნამდვილათ კი შემდეგ კრებაზე დუმამ შეწყვიტა ამ საკითხზე კამათი და შეუდგა ისევ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ ბევრი საგულისხმიერო აზრი გამოითქვა დეპუტატების მხრივ, მაშინ როდესაც სამინისტროს წარმომადგენელმა შიპოვმა ვერაფერი დამაკმაყოფილებელი საბუთი და პასუხი მისცა კრებას ამ საჭიროროტო და რუსეთის ცხოვრების ძირითად საკითხზე.

კადეტთა ორატორმა **შინგარევმა** სავსებით დაასურათა რუსეთის მრეწველობის ყველა მხარეები; ის შეეხო მფარველობითი სისტემას, მუშათა საკითხს, და აღნიშნა მრეწველობის განვითარების დამოკიდებულება შინაურ ბაზრის გაძლიერება-განვითარებაზე, აღნიშნა აგრეთვე სავაჭრო დაწესებულებათა საჭიროება.

დეპუტ. **სოკოლოვმა** ნათლათ უჩვენა კრებას სახელმწიფოს საზოგადო პოლიტიკურ ფორმების ზეგავლენა და მნიშვნელობა კერძო ინიციატივის განვითარებისათვის და ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება—წარმატებისათვის.

დეპუტატ მუშებმა: **პოლეტაევმა, ეგოროვმა და კუზნეცოვმა** ნათლათ გამოთქვეს სოციალდემოკრატიის შეხედულება ვაჭრობა-მრეწველობაზე და მასთან მუშათა კლასის დამოკიდებულებაზე. მათ წარადგინეს ს.-დემოკ. ფრაქციის ფორმულა მორიგ საქმეებზე გადასვლის შესახებ, რომლითაც ფრაქციამ აღნიშნა დღევანდელი სამინისტროს პოლიტიკის დამღუპველი გავლენა საზოგადოთ რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისთვის და კერძოთ მუშათა კლასის ინტერესების დაცვის საქმეში; ამიტომაც

მან უარჰყო ასეთ სამინისტროს ხარჯთ აღრიცხვაც და წინადადება მისცა დუმას მანაც უარყოს ის და გადავიდეს მორიგ საქმეებზე. ფორმულა დუმამ ერთხმათ უარყო და მიიღო შეუსწორებლათ დუმის კომისიის ფორმულა, რომლითაც დუმა ცნობს სამინისტროს რეორგანიზაციის საჭიროებას და წინდაწინ შემუშავებული პლანის მიხედვით მის მოწყობას.

10 მაისის სხდომაზე სახელ. დუმა შეუდგა სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვას. პირველათ ილაპარაკა მომხსენებელმა **ესოპკინმა**. მან აღნიშნა, რომ ამ ხარჯთ-აღრიცხვაში მეტათ დიდ ადგილს იჭერს ხაზინიდან „პენსიებისა და პოსობიების" გაცემა. ამასთან ასეთი ხარჯი წლით-წლობით საოცრათ მატულობ', რაც უექველათ დაკავშირებულია ამ უკანასკნელ წლების ამბებთან—გარეშე ომთან და შინაურ არეულობასთან; საზოგადოთ, მომხსენებელის აზრით, ეს საქმე ძალიან არეულ დარეულია და აუცილებლათ მოითხოვს მოწესრიგებას და რეორგანიზაციას.

მეორე საყურადღებო ადგილი ზემოხსენებულ ხარჯთ-აღრიცხვაში უკავია ხაზინების და სახაზინო პალატების შესანახ ხარჯებს. მომხსენებლის აზრით ხაზინების შესანახი ხარჯები შემცირებულია, პალატების კი მეტათ გაზრდილი მაშინ, როდესაც ეს პალატები არც ხალხისთვისაა საჭირო და არც მთავრობისათვის. მომხსენებელს პასუხი გასცა ფინანსთა მინისტრმა, რომელმაც აღიარა „პენსია-პოსობიების" შემცირების საჭიროება და სახაზინო პალატების ზოგ ფუნქციების გაუქმების აუცილებლობა; მარა მანვე აღნიშნა, რომ საჭიროა ხარჯთ-აღრიცხვა დუმამ უკლებლივ დაამტკიცოს, რადგან რუსეთის სახელმწიფო „უპენსიოთ", დამსახურებულ პირების დაუჯილდოვებლათ ვერ იხეირებსო. ამის შემდეგ დუმამ განიხილა ხარჯთ-აღრიცხვის ყველა №ები და დაამტკიცა კიდეც. ამავე სხდომაზე განიხილა დუმამ ბაჟებისა და არყის მონოპოლიის მთავარ გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვა. მცირედი კამათის შემდეგ დუმამ ეს ხარჯებიც დაამტკიცა.

12 მაისის სხდომაზე დუმამ ჯერ განიხილა მორიგ საქმეებიდან საბიუჯეტო კომისიის მოხსენება დამოჟნების შემოსავლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ და მერე შეუდგა ფინლიანდიის საკითხის გარჩევას. ამ საკითხზე პირველათ ილაპარაკა მემარჯვენეთა სახელით **მარკოვმა** 2, რომელმაც თავის გრძელ სიტყვაში აღნიშნა მემარჯვენეთა მთელი „გულის ნადები" ფინლიანდიის შესახებ. მან თქვა, რომ ფინლიანდია გიჟს ემსგავსება, როცა ის დამოუკიდებლობას მოითხოვს, ამიტომ ის გიჟის პერანგით უნდა შევბოჭოთ და გასაქანი არ უნდა მივცეთო და ეს მით უფრო, „რომ ის გასუქდა რუსეთის ფულებით, რომ მისი ქებული კულტურა, ეს ყვავილია რუსის ნეხვის გაპოხიერებულ ნიადაგზე აღმოცენებული "(სიცილი მარცხნივ) ამიტომ პრემიერის სიტყვა-პასუხი ვერ ამშვიდებს მარკოვს, აოცებს და აშინებს მას. მართალია მემარჯვენენიც საჭიროთ ცნობენ ფინლიანდიის შესახებ კანონების შემოღებას, მარა არა იმ გზით, რომელზედაც პრემიერი უთითებს. მარკოვის აზრით სულაც არაა საჭირო, შეეკითხოს რუსეთი ფინლიანდიას ასეთ კანონების შესა'ებ. პირიქით, თუ ფინლიანდიის დღევანდელი კონსტიტუცია მავნებელია რუსეთისათვის, საჭიროა ისე მოვექცეთ მას, როგორც ერთ დროს პოლონელთა სახელმწიფოს მოვექეცით ე. ი. გავაუქმოთ დღევანდელი კონსტიტუცია და მივცეთ ახალი, რომელიც შეთანხმებული იქნება რუსეთის იმპერიის ინტერესებთან (ტაშის ცემა მარჯვნივ, სიცილი მარცხნივ).

სოციალდემოკრატების შეხედულებით როგორც ოქტომბრისტების შეკითხვები, ისე პრემიერის პასუხიც მოკლებული, საბუთებს როგორც იურიდიულათ, ისე ლოღიკის მხრით. სოციალდემოკრატები ფიქრობენ, რო ყოველივე ეს ფინლიანდიის შესახებ წარმოსდგა იქიდან, რომ ანტი-კონსტიტუციურ მთავრობას არ შეუძლია გულგრილათ უცქიროს იმ პაწია ოაზისს თავისუფლებისას, რომელსაც რუსეთის იმპერიაში ფინლიანდიის მხარე წარმოადგენს; ამიტომ მას უნდა, რომ ეს ოაზისიც უდაბნოთ აქციოს, რათა არხეინათ იგრძნოს თავი რუსეთის რეაქციამ. რაც შეეხება ფინლიანდიის სეპარატიზმს, ეს ზღაპარია: ფინლიანდიელები ისე გლახა პოლიტიკოსები არ არიან, რომ ეს მოინდომონ. **საზოგადო სახელმწიფო საქმეების მართვა-მოწყობა კი სოციალდემოკრატების აზრით შეიძლება განსაკუთრებული დელეგაციის საშუალებით, რომელიც თანასწორათ იქნება არჩეული ფინლიანდიის სეიმისა და სახელმწიფო დუმისაგან**. მარა ყოველივე ამის განხორციელება შესაძლებელია მაშინ, როცა რუსეთის საარჩევნო უფლება სრულ დემოკრატიულ საფუძველზე მოეწყობა.

ილაპარაკა **მილიუკოვმა**, რომელიც ვრცელი კრიტიკით შეეხო პრემიერის პასუხს და აღნიშნა, რომ ფინლიანდიის სახელმწიფოებრივი ფორმა და რუსეთის ეს ორი სავადასხვა უფლებრივი ფორმაა, რომ მათი ერთ ორგანოში შეერთება შეუძლებელია, თუმცა მისი ძალმომრეობით გასრესა რუსეთისათვის ადვილათ მოსახერხებელია. მილიუკოვის სიტყვით, ამას ვერ ჩაიდენს რუსეთის დღევანდელი წარმომადგენლობითი დაწესებულება, ე. ი. ფინლიანდიის შესახებ კამათი დუმამ შეწყვიტა და გადავიდა საბიუჯეტო კომისიების მოხსენების განხილვაზე. დაამტკიცა რამდენიმე უმნიშვნელო წინადადება—ანგარიშები.

13 მაისის სხდომაზე სახელ. დუმა შეუდგა ისევ ფინლიანდიის საკითხზე კამათს.

პირველათ წარმოთქვეს სიტყვები ისევ მემარჯვენეებმა და გაიმეორეს ის, რაც წინა კრებაზე მარკოვმა სთქვა. ილაპარაკა აგრეთვე **პეტროვო სოკოლოვომ**, რომელმაც განაცხადა, რომ „1905 წლ. 22 ოქტომბრის მანიფესტს ისეთივე მნიშვნელობა უნდა მიეცეს ფინლიანდიისათვის, როგორსაც ვაძლევთ მთელი რუსეთისთვის 17 ოქტომბრისას"ო. მისი აზრით, „რუსეთის პარლამენტი იმიტომ არსებობს, რომ მონარქთან ერთათ მან შეასრულოს ნება რუსის ხალხისა უფლებრივ წყობილების და თავისუფლების განხორციელების საქმეში... მონარქმა ტყვილა კი არ გვიწყალობა ნაწილი თავისუფლებებისა" (მარჯვნიდან ისმის: ტყუილია, არაფერი მაგის მსგავსი არ მომხდარა. ძლიერი ხმაურობა. თავმჯდომარე აწყნარებს კრებას.)

**დეპ. ბულატმა** შენიშნა თავის სიტყვაში, რომ საქვეოა ოქტომბრისტები ეთანხმებოდენ **პეტროვ**-ს სოკოლოვს ამ საკითხშიო. (ცენტრიდან ისმის: „მართალია, არ ვეთანხმებითო").

კრების განახლების შემდეგ ილაპარაკეს ოქტომბრისტების სახელით გრაფმა უვაროვმა და გრაფ. ბერნიგშენმა, რომელთაც გამოთქვეს ის აზრი, რომ ისინი პრემიერს არსებითათ ეთანხმებიან, მხოლოთ გამოურკვეველი რჩება მათთვის, თუ როგორი კანონით ან რა ფორმაში გამოიხატოს ფინლიანდიისა და რუსეთის შეერთება საერთო სახელმწიფოებრივ საქმეებში ისე, რომ რუსისხალხის

ინტერესები შელახული არ იქნეს. დასასრულ მემარჯვენეთა ორატორებიც უცხადებენ თანაგრძნობას სტოლიპინს და ელიან მისგან ამ საკითხის რუსის ხალხის ღირსების დაგვარათ გადაწყვეტას. ამნაირათ ფინლიანდიის შესახებ ცენტრს მემარჯვენეებიც უერთდებიან და კამათი პრემიერ მინისტრის პ. სტოლიპინის გამარჯვებით სრულდება. კრება აცხადებს მიმდინარე საქმეთა სიას და იხურება.

*
* *

არ ვიცი, ბედო, როგორ გიმღერო,
ტკბილი თუ მწარე, რაგვარი ხმები;
ვერ გიალერსებ და არც ვტირებ,
მე შენა მძულხარ და მეზიზღები,
არა ხარ ჩემი, მე არ მეკუთვნი,
სულ სხვა გვარია ჩემი წილ-ხვედრი.
ტყვილათ რონინობ ჩემს გარეშემო,
თითქოს მამადლი, კიდეც მაყვედრი,
ჩემს ნებას შენთვის არ როს გავსწირავ,
არც შენ მუქარის მსხვერპლი გავხდები!
ის სხვა გვარია და მეც მუდამ-ჟამ
ძლიერი რწმენით მასთან დავშთები!
რა ვუყო თუ დღეს ჩანგს საიმედო
ძაფი მოეშვა, გაუწყდა ჰანგი
მახვილს თუმც პირი ქარქაშში უდევს,
მაგრამ ვერ დალევს დღეს იმას ჟანგი.
მარტო არა ვარ, აქ ჩემს გარშემო,
შერაცხვილ გულთა გაისმის ძგერა
და შენ საწყევლათ, პირქუშო ბედო,
ყველას სწადია ჩემთან სიმღერა!
„წამების ბოძი“ ისევ მაგრა დგას,
მისი სამსჯავრო ბორკილსა სჭედავს
და განაჩენი ჯალათის ხელით
უმანკო სისხლში სახეს იღებავს!
ეს გაიმედებს, მტარვალო ბედო,
აქ უწყობ ლიბოს შენ სასოებას,
ამისთვის დაძრწი ჩემს გარეშემო
და მამცნობ შენსა ამაოებას?
არა, წყეულო, მე არ ვარ მარტო,
სხვებსაც სწადია ჩემთან სიმღერა;
რომ ერთი ჩემი მსხვერპლი გიხსნიდეს,
ტყვილათ იმედობ, ტყუილათ გჯერა;
ჩემთან ურიცხვი მუქარის ხმაა,
დაუდგრომელი რისხვა, ყვედრება!
ეს მორჩილების კრთოლვა არაა
მუხლის მოდრეკა და შევედრება!..,

*
* *

ოჰ, მწარე ხვედრო, აწმყო უფსკრულო,
ვსცან შენი ტანჯვა და შეგინება;
მაგრამ მახვილი თუმც ქარქაშშია,
ჟანგი მის აფთარს არ ეკიდება!
რადგან ჩემს გვერდით სიმღერა ისმის,
იდუმალ შფოთავს, კვალათ იზრდება
და ბედის ჩარხსაც გადააბრუნებს
სამართლიანი ძლიერი ნება!..

**ვ. ტუქსიშვილი.**

# ქეთო.

ესკიზი
(ფაბრიკის ცხოვრებიდან)
(შემდეგი*)

— ნუ.. ნუ... ნუ!.. ყმუოდა საწყალი მოხუცი ავათმყოფი, ხიბარკლობდა ტახტზე და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. საწყალს დამბლა დასცემოდა, მთელი მისი სხეული დაემტვრია და ენა წაერთო. ის იტანჯებოდა, იწურებოდა, უნდოდა რამე ეთქვა, მაგრამ ამ.ოთ.. მის გაუპარსავ დაღვრემილ სახეს მწუხარების ოფლი ასქთებოდა. საბრალო ქალი ატირდა ქმრის ასეთ ტანჯვაზე; ცრემლების ნაკადული აგორდა მის გამხმარ და გაყვითლებულ ლოყებზე.

— რა ვქნა!.. ღმერთო... რად მომიყვანე ამ დღემდე!? . ის თითების მტვრევით მიუბრუნდა თამაროს.

— შვილო, თუ მამაშენი უფრო ცუდათ გახდეს, დაუძახე ჩვენ მეზობელ მაროს... ის კარებისკენ გაექანა ამდროს მას თამრომ შეშინებული მიაძახა: „დედა, მოკვდება მამა“!? საწყალ დედას რაღაცამ საშინლათ უკბინა გულის თავზე; მან იქვე ჩაიკეცა, მაგრამ მალე გონს მოვიდა; მიუახლოვდა თამროს, მიუალერსა, გაამხნევა, შემდეგ ქმარს დაძმარებულმა გადახედა და გავიდა კარში. საწყალი თავჩაკიდული მიდიოდა, თავში ათასი აზრი უტრიალობდა და ნელ-ნელა ცრემლებს ღვრიდა. ის მალე მიუახლოვდა ერთ უზარ-მაზარ ორ სართულიან შენობას, რომლის ფანჯარების უმეტეს ნაწილს მიჭედილი ჰქონდა წინ მავთულის ბადეები, რაც შენობას რაღაც განუსაზღვრელ გამომეტყველებას აძლევდა. ამ შენობის ერთი მხრით გაშენებულია ქალაქის პატარა ბაღი, სადაც ბეღურა ჩიტები კიპაროსისა და აკაციის შტოებზე მედიდურათ და ამაყათ დახტოდენ, გაქონდათ ჟივილ-ხივილი. მათი ცელქობა მხიარულობა, ცქრიალი, ჟრიამული იზიდავდა ადამიანის ყურადღებას, მაგრამ ჩვენს ნაცნობს ეს არ შეუნიშნავს, არ შეუნიშნავს არც ხალხი, რომელიც შეჯგუფებულიყო ამ დიდი შენობის ალაყაფის კარებთან. ის პირდაპირ მიადგა ალაყაფის კარებს, მაგრამ შეაჩერა მეკარემ, მოხუცებულმა კაცმა ტომით სომეხმა.

— არ შეიძლება, ქეთუავ! წაიკითხე იქ განცხადება. მეკარემ თითი განცხადებისაკენ გაუშვირა, რომელიც გაკრული იყო იქვე კედელზე. ქეთო შეკრთა; მან მაშინალურათ მიიხედა იქით, განცხადებას გარს შემოხვევოდენ მრავალი ქალი და კაცი, ერთი იმათგანი კითხულობდა ხმა მაღლა შემდეგ განცხადებას: „რადგან ფაბრიკას დამზადებული საქონელი-თამბაქო-პაპიროსი ძლიერ ბევრი აქვს, და ბაზარზე საქონლის მოთხოვნილება არაა, ამისთვის ფაბრიკის გამგეობა ითხოვს სამოცდა შვიდ მუშა ქალს, დღეიდან ესენი ითვლებიან დათხოვნილათ და ვიწვევთ რომ მოვიდენ და მიიღონ ანგარიში; ვაძლევთ თხუთმეტი დღისას იმა-

*)იხ. ალიონი № 1.

ზე მეტს, რაც ერგებათ. ვინიცობაა მუშები არ დასთანხმდენ ამ გადაწყვეტილებას, მაშინ ფაბრიკა დაიხურება“... ქვევით მიჰყვებოდა განცხადებას დათხოვნილი მუშა ქალების სახელი და გვარი, რომელთა რიცხვში იყო მოქცეული ქეთოც.

მუშა ქალი და კაცი შეწუხებული, განცვიფრებული! სმენათ გადაქცეული, ყურს უგდებდა განცხადების კითხვას, მხოლოთ დრო გამოშვებით ვინმეს გულიდან ამოხეთქდა მწუხარე ხმა: „ახლა, ახლა გვყრიან! . რომ აღარ გაგვაჩნია ძალ-ღონე!.. მთელი სიცოცხლე აქ ჩაგვიტევია!“.. „თქვა და აასრულა მაგ ურიამ, მაგ ღვთის პირიდან წარსულმა“ . „ნახოს, როგორ გაგვყრის!.. ჯერ განაახლოს ჩვენი ძალ-ღონე... დაგვიბრუნოს ჩვენი ჯანმრთელობა“!.. არ შეუძლია ეს? მაშ ვერც დაგვითხოვს!..

— ამხანაგებო, ძალა ერთობაშია! გაისმა აღელვებული ხმა, შეზავებული ცრემლითა და ბოღმით; ცოტა ხნის შემდეგ წინ წამოდგა ქეთო; მას მოსახურავი შალი მარცხენა მხარზე წამოეგდო, თავი მაღლა ეღო, ხელს ალაყაფის კარებისკენ იშვერდა და გაბედული ნაბიჯით მიიწევდა წინ. მისი დაღვრემილი გაყვითლებული სახე გაბედულების ალით იყო ანთებული და ნამდვილი სიმძიმის გამომეტყველება ჰქონდა. არის წამები ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც ადამიანი, რაც უნდა უძლური და სუსტი იყვეს, გაალმასდება, გასალკდევდება; შეიძლება, ასეთ წუთებში იყო ქეთოც ეხლა: მისთვის, როგორც სხვისთვის, წყდებოდა დიდი საკითხი —შიმშილით სიკვდილი, ან ნახევრათ შიერობა.

— ჰოგანეზავ, ჩამომეცალე კარებიდან! მიაძახა ქეთომ მეკარეს, რომელსაც ალაყაფის კარების ფარდული მაგრათ ეჭირა ცალი ხელით და მეორეში დიდ მუშტუკში გაკეთებული ანთებული პაპიროსი.

— არა, არ შეიძლება, ამხანაგო, მე ნაბძანები მაქვს, რომ დათხოვნილი ქალები არ შეუშვა ფაბრიკაში!..

— არ ჩამომეცლები?! მომყევით, ამხანაგებო!

— მოვდივართ, მოვდივართ... დაიგრიალა ყველამ ერთათ. ქეთო ალაყაფის კარებს მიაწვა, მას მიჰყვა სხვებიც. შეშინებულმა მეკარემ კარები მიატოვა.

ალაყაფის კარები გაიღო, და ერთ წამს ფაბრიკის ვიწრო ფიცრებით და იაშიკებით მოჩხირული ეზო ხალხით აივსო. შეშინებული მტრედები და ბეღურები სახურავზე შეფრინდენ და იქიდან განაბულნი გაკვირვებით გადმოყურებდენ ქვევით ხალხს, რომელმაც დაარღვია მათი მყუდროება და ხელი შეუშალა საკენკის აკენკვაში.

ფაბრიკის ეზოში არაჩვეულებრივი მოძრაობა შეიქმნა. მუშები განაგძობდენ ხმაურობას, იწვევდენ ფაბრიკის გამგესა და პატრონს, მაგრამ ისინი არ ჩნდებიდენ. ერთსაც და მეორესაც მაგრათ ჩაეკეტათ ოთახის კარები და იქიდან აძლევდენ ახალ-ახალ განკარგულებას თვის ხელქვეითებს. მაშინის განყოფილებისა და ფაბრიკის კარების დაკეტვა უკვე მოესწროთ. არც შიგნიდან და არც გარედან მუშებს არ შეეძლოთ შესვლა-გამოსვლა. მაშინები განაგძობდა რახრახ-გუგუნს. არც ერთი მუშა მათ ყურს არ უგდებდა. ისინი ფანჯარებთან მიმწყდარი იწვევდენ გარეთ, უძახდენ ამხანაგებს, რომ გაეღოთ მათთვის კარები, აგინებდენ ფაბრიკის გამგეს და ღრიალებდენ, თან სჭექდა ნაღვლიანი სიმღერა:

„მუშავ, მონა ხარ შენი ოფლისა,
და სათამაშო გასართობელი,
მიწის მასხარა, მასხარა ცისა!..
შენ კაცი გქვია, მაგრამ სადა გაქვს
ადამიანის წმინდა უფლება?
შეხედე შენს მკერდს, რა უყავ ოფლი,
რისთვის და ვისთვის იგი იღვრება?!...“

(გაგძელება იქნება)

**პ—ე ხიდისთაველისა.**

## რუსეთის ცხოვრება.

**„მადლობა ღმერთს, ჩვენში პარლამენტი არ არსებობს!“** ამას წინათ სახელ. დუმაში მინისტრ კოკოვცევის მიერ წამოძახილ სიტყვებს: „მადლობა ღმერთს, ჩვენში პარლამენტი არ არისო“, დიდი მითქმა მოთქმა გამოუწვევია „მაღალ წრეებში“. ეს სიტყვები შემარჯვენეთაც არ მოწონებიათ, მით უფრო, რომ კოკოვცევს, ეს სიტყვები განზრახ წარმოუთქვამს. ამბობენ ამით კოკოვცევს თავის „კარიერის წინ წაწევა უნდოდა—პრემიერის ადგ. ხელში ჩაგდება სურსო. საქმე ისაა, რომ დღეს „ბიუროკრატთა მაღალ სფერაში“ დიდი დრამა წარმოებს თურმე. პ. სტოლიპინი საზაფხულოთ მიბრძანდება დასასვენებლათ და თავისი ადგილი დროებით რომელიმე კანდიდატს უნდა დაუთმოს. ამ ადგილს კოკოვცევი დიდი ხანია თურმე უთვალთვალებს, მარა დღემდე შემთხვევა არ მიეცა, რომ ხელში ჩაიგდოს. დღემდე მას ძლიერი კონკურენტები უჩნდებოდენ და ყოველთვის ამარცხებდენ, დღესაც მისდა საუბედუროთ, ამ ადგილზე კანდიდატათ შჩეგლოვიტოვს ასახელებენ. ამიტომ კოკოვცევი იძულებულია, რაც შეიძლება მეტი უნარი გამოიჩინოს „სფერების“ წინაშე, რომ თავისი კონკურენტი დაამარცხოს და სტოლიპინის ალაგზე დაჯდეს.

აი რა მოსაზრებით წარმოსთქვა თურმე მან დუმაში ფრაზა: „მადლობა ღმერთს, ჩვენში პარლამენტი არ არსებობსო!“

—

**„პირველ მაისობა“ პეტერბურგში.** „პირველ მაისობა“ წელსაც გამართეს პეტერბურგის მუშებმა. აგიტაციის გამო დატუსაღებულთა რიცხვი წელს შარშანდელთან შედარებით ძალიან **მცირეა**. გაფიცულთა რიცხვი კი ოციათასამდე ავიდა პეტერბურგის დიდი

ქარხნების და ფაბრიკების უმრავლესობა ამ დღეს დაკეტილი იყო, თუმცა მათზე ზედამხედველობა და მცველობა წინანდელზე გაცილებით უფრო ძლიერი იყო.

იყო ჩხრეკა და დატუსაღება, მარა ბევრი მათგანი მალე გაანთავისუფლეს.

—

„პირველ მაისობის“ გამო რუსეთის სხვა ქალაქების ზოგ საწარმოო დაწესებულებებშიც შეჩერდა მუშაობა, განსაკუთრებით სტამბებში. მაგალ. მოსკოვში „პირველ მაისობა“ ყველა გაზეთების სტამბებში იუქმეს, რის გამოც 2 მაისს იქ არც ერთი გაზეთი აღარ გამოსულა.

—

**ტუსაღების მდგომარეობა რუსეთის ციხეებში.** რუსეთის სატუსაღოების მთავარ მმართველობას თითქოს წარმოდგენაც არა ჰქონია იმაზე, თუ როგორი და რაზომის უნდა იყოს სატუსაღო, დღეს რუსეთში ყველგან ციხეებში ტუსაღთა რიცხვი ორჯერ ან სამჯერ მეტია იმ რიცხვზე, რასაც ამ საჭიროებისთვის აგებული შენობა დაიტევს. ამასთან ტუსაღს გამოსაკვებათ ეძლევა „კერძი“, რაღაც გროში — სულ 9 კაპეიკი დღეში, რომლითაც მას შეუძლია შეიძინოს მხოლოთ სამი გირვანქა შავი პური უშექამანდოთ რასაკვირველია. თვით ეს „კერძი“, პური, ხორცი და სხვა ეძლევა მას სესხათ ჩარჩისგან, რომელსაც მთავრობა უხდის მას 2-3 წლის შემდეგ. ამ ნაირათ მთავრობა აძლევს ჩარჩს რამდენიმე მილიონ მან.

ცხადია საქმის ასეთ საზარელ მდგომარეობაში ჩაყენებით დღეს რუსეთის თითქმის ყველა ციხეებში გავრცელებულია საშინელი სენი ტიფი, ცინგა და სხვა, რაზედაც აუარებელი წერილები მოდის ყველა გაზეთებს კორესპოდენტისაგან.

## მუშათა შორის.

**პარიკმახერთა შორის.** პოლიტიკური პირობების შეცვლამ და რეაქციის გაბატონებამ საზოგადოთ წაათამამა ხაზეინები, მაგრამ ვართანოვმა კი ყველას გადააჭარბა. ის, რაც ძალი და ღონე აქვს, ცდილობს, რომ შეავიწროვოს მუშები და რაც მათ ბრძოლით მოუპოვებიათ წაართოს.

ვართანოვის სახელოსნო არის ბნელი და ნესტიანი, ჭერი ქუჩის თანაბრათ, ე. ი. საპარიკმახეროს ქვეშაა მოთავსებული; იქ კიბით უნდა ჩახვიდე-ამოხვიდე. ქარგლებს დღეში 30-ჯერ უხდებათ ამ კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა. სახელოსნოში ისტაკის მაგივრათ აგურები აწყვია. ორი წელიწადია პირდება მუშებს ისტაკის გაკეთებას, მაგრამ გაკეთებისათვის ყური არ იბერტყეს.

როდესაც ვართანოვს აჰყავს ახალი მუშა, ურიგდება ერთი საქმის გაკეთებას, მაგრამ აკეთებინებს ყოველგვარ საქმეს.

თუ ვინმე მივიდა მუშებთან მოსალაპარაკებლათ რამე საქმეზე, დიდი ვაი-ვაგლახით შეიძლება ნახო. მუშებს ეუბნება: მნახველები ან დილით ადრე მოვიდნენ — ან საღამოს გვიან, საქმეს ნუ აცდენთ. ერთხელ სახელოსნოს ერთად-ერთი კარებიც კი დაკეტა, რომ სახელოსნოში არავინ შემოსულ-გასულიყო. როცა ჭერი შეიხუთა და მუშებმა ველარ გაუძლეს, გასტეხეს კარები და გაადეს, რისთვისაც ბ. ვართანოვმა მორთო ღრიალი — უცხოს რომ ენახა, ეგონებოდა გაგიჟდაო.

წერილები მიაქვთ დამტარებლებს 12-1 საათზე, მუშა კი იღებს ხაზეინისგან საღამოს 6 საათის შემდეგ; ხანდახან დაავიწყდება ხოლმე და მეორე-მესამე დღე; სახელოსნოში პაპიროსის მოწევა აკრძალა! ვისაც სურს პაპიროსის მოწევა, გავიდეს და ეზოში მოსწიოსო. შემდეგ ესეც აღარ მოეწონა, რადგან თვის მუშაობა იქ არ შეიძლებოდა.

ის იმდენათ გათამამდა, რომ ერთ ქარგალს ხელით შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც მომუშავეებმა ვართანოვს ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს, მაგრამ გაჯიუტებულმა ხაზეინმა უარი განაცხადა. ამისთვის მუშები ერთი დღით გაიფიცნენ. საზოგადოება როცა ეკითხებოდა: „რათ გაიფიცნენო“, ის უსირცხვილოთ უპასუხებდა: „ერთმანეთში ჩხუბი მოსდით და აღარ მუშაობენო“. ამით უნდოდა მუშებისთვის სახელი გაეტეხა.

ასეთ ტანჯვაში არიან დღეს იქ მომუშავენი. პროვოკაციასაც კი ეწევა თურმე სომხებსა და სხვა ერებს შორის. ნეტავ როდის მოეღება ბოლო ხაზეინების ასეთ ქცევას? ან როდის გვეღირსება ისეთი გამგეობა, რომ ყველა ამას ყურადღებას მიაქცევს?!

ს. ოკრიბელი.

# უცხოეთი.

**სპარსეთი.** სპარსეთის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მის დასაწყისში მთელი განათლებული კაცობრიობის ყურადღება მიიქცია. დიდის ალტაცებით მოელოდენ სპარსეთში უფლებრივი წეს-წყობილების დამყარებას და აღფრთოვანებულ სალამს უძღვნიდენ მას. მაგრამ დრო გადის და სპარსეთში ახალ წყობილების დამყარებას ჯერაც სანუგეშო პირი არ უჩანს.

დღეს ევროპის პრესა და პოლიტიკოსები სპარსეთში უფლებრივი წეს-წყობილების მომავალს სკეპტიკური თვალით უცქერიან. მაგრამ თვით სპარსელბი, რომელთათვის ამ მოსაწყენ და ერთფეროვან პოლიტიკურ მდგომარეობის შინაგანი აზრი აშკარაა, საბედნიეროთ, არ ეცემიან სულით და ღრმათ სწამთ, რომ სპარსეთში უფლებრივი წყობილება დამყარდება.

სპარსეთში პოლიტიკურ ცხოვრების სამი უმთავრესი ფაქტორია — შაჰხი, პარლამენტი და ენდჟუმენები, რომელნიც ხალხის მოძრაობას ხელმძღვანელობენ. სპარსეთის დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა რომ გავიგოთ, ამისთვის აუცილებელი საჭიროა გავითვალისწინოთ ამათი ურთიერთური დამოკიდებულება.

გასული წლის დეკემბერში შაჰხმა მოულოდნელათ გარეკა ლიბერალური სამინისტრო, უმთავრესი მინისტრი ნარს-ულ-მულქა საპყრობილეში ჩააგდო და შეადგინა ახალი სამინისტრო რეაქციონრებისგან. ამ ამბავმა ხალხი ძლიერ აალელვა. ხალხი არ სცნობს ამ მინისტრებს ნამ-

დილ მთავრობათ. ხალხის მოწინავე ჯგუფებმა, რომელთაც შეკრეს მტკიცე დემოკრატიული ორგანიზაცია, გაასწრეს პარლამენტს მისწრაფებაში. ესენი ფიქრობენ, რომ პარლამენტს არ აქვს საკმარისი კონსტიტუციონალური სული და თავიანთი ენერგიული მოქმედებით და ზეგავლენით აჩქარებენ პარლამენტს, რომ მან დაუყონებლივ გაატაროს ცხოვრებაში **უფლებისა და კანონიერების** საფუძლები. ამ ჯგუფებმა გამოუცხადეს სამკვდრო სასიცოცხლო ომი კონსერვატორულ სამინისტროს, რომელიც ოპოზიციაში უდგას მეჯლისის (პარლამენტის) ყოველ ლიბერალურ ნაბიჯს. აქედან წარმოსდგება განუწყვეტელი გადაყ-გადმოყენება კაბინეტისა.

პარლამენტი, რომელსაც მხარს უჭერს სპარსეთის მთელი რევოლიუციონური ჯგუფები, ყოველ შემთხვევაში უცხადებს სამინისტროს უნდობლობას—ყოველ წამს უთითებს მინისტრების მიერ კანონის დარღვევაზე, მოითხოვს მინისტრების პასუხის გებაში მიცემას და სერიოზულ შეტაკების დროს ემუქრება ხალხის აჯანყებით. ხშირათ იმედ დაკარგული სამინისტრო თხოვნით მიმართავს შაჰს გადაყენების შესახებ, მაგრამ შახი მაჰმადალი არ ღებულობს თხოვნებს. მას არ უნდა გამოემშვიდობოს წარსულ ილიუზიებს და ჩქარახლა ადგენს ახალახალ სამინისტროს ძველი სულით და მისწრაფებით. მაგრამ რეაქციონური სამინისტრო პირთა რიცხვი ძლიერ განსაზღვრულია და ამისათვისაა, რომ დღეს იუსტიციის მინისტრი ხვალ განათლების მინისტრია, ფინანსთა მინისტრი იჭერს თავმჯდომარის სავარძელს და სხვა.

სპარსეთის ხალხი დარწმუნებულია, რომ შახი მათ ნებაყოფლობით არაფერს დაუთმობს. სპარსელები ფხიზლათ გაჰყურებენ მომავალს და რამდენიმე თვის შემდეგ ფიქრობენ მოიპოვონ პასუხის მგებელი სამინისტრო. მალე ეხლანდელი მეჯლისის ვადა გათავდება და დაიწყება ახალი არჩევნები.

საარჩევნო აგიტაციები უკვე დაიწყო. თეირანისა და თავრიზის ოლქთა გავლენიანი ენდჯუმენების სულიერი მდგომარეობა ძლიერ კარგია. თქმა არ უნდა, რომ ახალი პარლამენტის შედგენილობა იქმნება გაცილებით უფრო დემოკრატიული. ახალი პარლამენტი არ შეურიგდება კონსერვატორულ სამინისტროს, ის აირჩევს ახალ მინისტრებს; შახი ვერ შესძლებს შებრძოლებას და წინააღმდეგობას.

ყველაზე საყურადღებოა ის, რომ ხალხის მასაში უკვე გაიდგა ფესვები **უფლებისა და მოქალაქობრიობის** შეგნებამ.

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

L' art au Caucase par J. Maurier. Bruxelles.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო ბრიუსელიდან დასახელებული წიგნი (ხელოვნება კავკასიაში. თხზ. ჟ. მურიესი). ავტორი იკვლევს ჩვენი ქვეყნის თითქმის სრულიად უცნობ სფერას, არტისტიულ მხარეს. იგი სწავლობს ძველ შენობათა და ტაძრების ნანგრევებს, ძველ ხუროთ-მოძღვრების ნაშთებს, შინჯავს მონასტრების და ეკლესიების სალაროებს, არქეოლოგიურ განძებს, ეტრატებსა და ხელნაწერებს; იგი არ სტოვებს უყურადღებოთ ქსოვილებს, ხალიჩებს, მოსართავებს, სამკაულებს, ავეჯეულობას, ჭურჭლეულობას, იარაღს და სხ. და ყველა ამა იყო ეძებს კავკასიის ხალხთა ესტეტიურ გემოვნებას და არტისტულ უნარს. ავტორი ეხება უმთავრესათ საქართველოს და აგრეთვე სომხების პროვინციას. სომხებსა და ქართველებს იგი ასე ახასიათებს: „ქართველი არის ლამაზი, მკვირცხლი, მამაცი და კეთილშობილი (დიდსულოვანი); ქართველები აღმერთებენ სტუმარ-მასპინძლობას და მათ პატიოსნება-ღირსებას, გრძნობა მეტათ განვითარებული აქვთ; მაგრამ ქართველები არიან ზარმაცნი, უდარდელნი, უ ასიათონი და მა ძალიან ნაკლებათ ეხერხებათ დაწყებული საქმის ბოლომდის მიყვანა“.

სომხები, ვაჭრობისათვის განსაკუთრებულ ნიჭის მქონენი, პრაქტიკისა და ანგარიშის ხალხია, ისინი ყოველგვარ საშუალებას ეძებენ თავიანთი ქონების გასაორკეცებლათ. ქართველზე ნაკლებ რაინდული, ნაკლებ მამაცი, სომეხი ქვეშქვეშაა და გაქნილი: მას უყვარს მხოლოთ ერთი რამე: ფული და დღეს უკვე დაკარგული აქვს ყოველივე არტისტული მიდრეკილება, რაც მას ოდესღაც ეტყობოდა“.

ბ-ნი მურიე კავკასიაში მცხოვრებ სხვა ერებს არავის ეხება იმ უბრალო მოსაზრებით, რომ—როგორც თვითონ ამბობს—„კავკასიაში რამოდენიმე ინტელექტუალური ღირებულება გამოიჩინა მხოლოდ ორმა ეროვნებამ: ქართველობამ და სომხობამ“. ამ ორივე ეროვნებათა ხელოვნების ნაშთების კლევა-ძიებას ავტორი ასეთ დასკვნამდე მიყავს:

„ვერც სომხებმა და ვერც ქართველებმა ვერ შეიძლეს შექმნათ სრულიად ორიგინალური ხელოვნება. ამისათვის საჭირო იყო გონების ამაღლება, ჰორიზონტის სივართოვე და პირადი ზე-შთაგონება, რაც მათ არ გააჩნდათ; იმათი არქიტექტურა, როგორც მათი ქვეყანა, მუდამ განიცდიდა უცხოეთის ზე-გავლენას. მათი მორალური სისუსტე და დაუწყნარებლობა განა საკმაოთ არ იხატება მათ შენობათა სიმცირეში? სომეხთა დედაქალაქის ანის კათედრა ღარიბი ტაძარი—შენობა იმ ეპოქისა, როცა სომხეთი ჰყვაოდა—და ასეთივე ტაძარი ქუთაისისა, იმერეთში, თავის სიდიდით არ აღემატებიან დასავლეთ ევროპის სოფლის ეკლესიებს.

დასასრულს, მკითხველის გულის გასაქარვებლათ, მოვიყვანოთ ის სტრიქონები, რომელიც ეხება თამარ დედოფალს და მის სურათს: „თამარ დედოფალი,—ესაა კავკასიის სემირამისი*), ესაა განსაკუთრებული არსება, რომელსაც მრავალ თაობათა განმავლობაში აწერენ ყველა იმას, რაც კი არის დიდებული, მშვენიერი და სასარგებლო. ქართველი მეომარნი ამ დიდსულოვან ქალს უწოდებენ **მეფეს**, როგორც ჰონგრიელნი მარიამ-თერეზას; მღვდელნი ღაღადებენ მის სათნოებას, მგოსნები, სხვათაშორის შოთა რუსთაველი, შეამკობენ მის სიტურფეს. ბეთანიის სურათი,**) რომელიც ეჩვენს გარემეა თითქმის ერთათ-ერთი ნამდვილი სურათია თამარისა... მართლაც და წარმოადგენს იდეალს აღმოსავლეთის სილამაზისას, რომელიც მორთულია აზიის მბრძანებელის დიდებულ სამკაულებით“...

წიგნი ძვირფასათ არის გამოცემული და კარგათაა დასურათებული.

**ჯიანელლო.**

*) ასირიელების ზღაპრული დედოფალი, იგივე ღმერთი ვენერა.

**) ბეთანიის ეკლესია (XII საუკუნისა), რომლის კედელზედაც 1851 წ. აღმოაჩინეს თამარ-მეფეს სურათი, 20-ღე ვერსტის მანძილზეა თფილისიდან.

რედ.-გამომცემელი **ს. კეკელიძე.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „**სორაპანი**“, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრ.ნსკისა, № 1.